ზაზა აბაშიძე
აკა ზარძუა

# მასობრივი განადგურების იარაღით განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობების ისტორია

# მასობრივი განადგურების იარაღით განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობების ისტორია

ავტორი: **ზაზა აბაშიძე და აკა ზარქუა**

თბილისი

**2024**

## პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

## შინაარსი

შესავალი . . . . . 1

მასობრივი განადგურების იარაღი: განმარტება . . . . . 2

შხამების ლაბორატორია . . . . . 4

კაცი მოწამლული პისტოლეტით . . . . . 7

ლენინიდან პუტინამდე . . . . . 13

ორმაგი ჩავარდნა . . . . . 20

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია: ნოვიჩოკი . . . . . 24

მოსადის ჩავარდნა . . . . . 32

განკითხვის დღის სექტა . . . . . 36

ბიბლიოგრაფია . . . . . 40

# შესავალი

პოლიტიკური მკვლელობა ადრეული თემური წყობილებიდან მოყოლებული სოციალური რეალობის განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც ტომების, სოფლებისა თუ სხვა ტიპის თემების ლიდერებს მუდმივად სჭირდებოდათ საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება. პოლიტიკური მკვლელობები განუყოფელი ნაწილი იყო დიდი იმპერიების აღზევებისა და დაცემის ისტორიაშიც.

ყველასთვის ცნობილია აღექსანდრე მაკედონელის სამხედრო გამარჯვებების შესახებ, თუმცა იშვიათად კეთდება აქცენტი იმაზე, რომ აღექსანდრე მაკედონელის სამეფო ტახტზე ასვლას წინ უძღოდა პოლიტიკური მკვლელობა: ქალიშვილის ქორწილის საზეიმო ღხინზე მიმავალი ფილიპე მეორე ( მაკედონელის მამა) საკუთარმა დაცვის წევრმა მოკლა.

ასეთ მკვლელობებს ხშირად ჰქონია დიდი ზეგავლენა საერთაშორისო პროცესებზე. ამის მაგალითად 1995 წელს ისრაელის პრემიერის, იცხაკ რაბინის ლიკვიდაცია შეგვიძლია გავიხსენოთ, რასაც, ბევრის აზრით, სამშვიდობო პროცესიც ემსხვერპლა.

ლესლლეობით პოლიტიკური მკვლელობის ყველაზე პოპულარული განმარტება შემდეგნაირად ჟღერს: ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად სრულდება განზრახ შერჩეული, პოლიტიკურად აქტიური ადამიანის სიკვდილით. მიზანს გარკვეული პოლიტიკის, ფასეულობის, პრაქტიკების ან ნორმების დაწინაურება ან პრევენცია წარმოადგენს.

2015 წელს ვესტ-პოინტის აკადემიის ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კვლევის ( Perdlieger 2015) თანახმად, 1946-დან 2013 წლამდე პერიოდში 758 პოლიტიკური თავდასხმა განხორციელდა, რაშიც 920 თავდამსხმელი მონაწილეობდა, ხოლო მოკლულთა მაჩვენებელმა 954 ადამიანი (რიცხვი არ შეიცავს თვითმხილველებს ან შემთხვევით მსხვერპლს) შეადგინა.

პოლიტიკური მკვლელობების უმრავლესობა კონვენციური იარაღით არის განხორციელებული, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალება გამოიყენეს, რასაც დღეს ბიოლოგიურ იარაღს ვუწოდებთ.

კაცობრიობას სხვადასხვა ტიპის შხამისა თუ საწამლავის გამოყენების მდიდარი ისტორია გააჩნია, რომელიც დასაბამს ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იღებს.

ცხადია, დროის გასვლასთან ერთად ტექნოლოგიურმა პროგრესმა ამ სფეროზეც მოახდინა დიდი გავლენა და პოლიტიკური მკვლელობებისთვის ხელმისაწვდომი არსენალი ქიმიური იარაღითაც „გაამდიდრა.“

სანამ ქვეკატეგორიებს მიმოვიხილავთ, ხაზგასასმელია, რომ  ზოგადად, პოლიტიკური მკვლელოებისთვის გამოყენებული მასობრივი განადგურების საშუალებები თავდაპირველად სულ სხვა მიზნით იქმნებოდა.

## მასობრივი განადგურების იარაღი: განმარტება

ამ თავში ჩვენ ვსაუბრობთ შეიარაღებაზე, რომელსაც იმდენად მასშტაბური და „ინდისკრიმანციული“ მსხვერპლის გამოწვევა შეუძლია, რომ მხოლოდ მისი ფლობაც კი ეგზისტენციალურ საფრთხედ შეიძლება იყოს მიჩნეული.

თანამედროვე მასობრივი განადგურების იარაღი ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიურია (NBC Weapons).

თავად  ტერმინი დაახლოებით 1937 წლიდან გამოიყენება. მაშინ ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრებდნენ ბომბდამშენის ფუნქციის მქონე საავიაციო დაჯგუფებას, რაც დიდი ურბანული ცენტრებისთვის მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენდა.

ავიაციის გამანადგურებელი ეფექტი განსაკუთრებით თვალსაჩინო II მსოფლიო ომის დროს გახდა, რისთვისაც ჰამბურგის, დრეზდენის ან ტოკიოს დაბომბვის გახსენებაც საკმარისია.

ცხადია, გაცილებით უფრო მასშტაბური მსხვერპლი მოჰყვა საბრძოლო პირობებში ატომური ბომბის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ გამოყენებას. ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის აფეთქებას მომენტალურად ემსხვერპლა 66 ათასი ადამიანი, ხოლო წლის ბოლომდე, რადიაციული დაავადებების შედეგად, მსხვერპლის რაოდენობა 140 ათასს გადასცდა.

ცივი ომის განმავლობაში რამდენიმე უმსხვილესმა სახელმწიფომ ბირთვული იარაღის უდიდესი არსენალი შექმნა ათასობით ბირთვული ბომბით, რაკეტით და სხვა ტიპის საბრძოლო მასალით. მასობრივი განადგურების იარაღის არსენალი იმდენად მასშტაბური გახდა, რომ სპეციალისტები ამ პერიოდს ზოგჯერ „ტერორის ბალანსად“ მოიხსენიებენ.

პარალელურად იზრდებოდა არაბირთვული მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებაც, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორივე ქვეყანა ზრუნავდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კვლევებზე განვითარებასა და წარმოებაზე.

- ***ქიმიური იარაღი*** - სხვადასხვა სითხეები და გაზი, რომელიც იწვევს მსხვერპლის დახრჩობას, კანის სპეციფიკურ დამწვრობას, ნერვული სისტემის პარალიზებას და სისხლის მოწამვლას.

ისეთ ქიმიურ იარაღებს, როგორიცაა ქლორინის გაზი ან იპრიტი, I მსოფლიო ომის დროს საარტილერიო ჭურვებში იყენებდნენ. ამ კლასიფიკაციის იარაღის გამოყენება დადასტურებულია ირან-ერაყის ომის დროსაც 1980-იან წლებში.

- ***ბიოლოგიური იარაღი*** - ბუნებრივი ტოქსინები და/ან ისეთი ინფექციური აგენტები, როგორებიცაა: ბაქტერია, ვირუსი ან სოკო. ამ ტიპის ნივთიერებების გავრცელებამ შესაძლოა, გამოიწვიოს ისეთი დაავადებების ეპიდემია, როგორიცაა: ციმბირული წყლული,პნევმონიური ჭირი ან ყვავილი. ბიოლოგიური იარაღი უკანასკნელად იაპონელებმა გამოიყენეს ჩინეთის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს.

ზემოთ მოყვანილი დებულებების პარალელურად, არსებობს მოსაზრება, რომ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის დამზადებისა და გავრცელების პროცედურიდან გამოდინარე, შესაძლებელია მსგავსი საშუალებები კერძო აქტორების ხელშიც აღმოჩნდეს, მაგალითად, ტერორისტული ან ექსტრემისტული დაჯგუფებების არსენალში. სამწუხაროდ, პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეს შიში უსაფუძვლო არ არის.

სწორად ამიტომ, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების შეზღუდვა უმსხვილესი სახელმწიფოების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. ამ მიზნით მომზადდა და ამოქმედდა რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია, მათ შორის 1972 წლის ბიოლოგიური იარაღის და 1993 წლის ქიმიური შეიარაღების კონვენციები.

გასულ ათწლეულებში, სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომების პირობებში, ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის გამოყენების ბევრი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა ამავე პერიოდში მოხდა არაერთი გახმაურებული პოლიტიკური თავდასხმა, რომელიც ამ ტიპის შეიარაღებით იყო ჩადენილი.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მსგავსი აქტების უკან, სახელმწიფოებისა და ოფიციალური უწყებების გარდა, ცალკეული ექსტრემისტული თუ ტერორისტული დაჯგუფებებიც ყოფილან.

## შხამების ლაბორატორია

სავარაუდოა, რომ მსოფლიო ისტორიაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების წარმოება და კვლევა არსად ყოფილა ისეთი ცენტრალიზებული და მასშტაბური, როგორც საბჭოთა კავშირში. აქ მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება მიზეზზე - პოლიტიკური მტრების ლიკვიდაციისთვის ინოვაციური გზების ძიება.

1917 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკები მალევე იწყებენ მასობრივ ტერორს, სადაც მსხვერპლთა წრე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მათ მიერ გაცხადებული მტრების ჩამონათვალი.

ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ მასობრივი ტერორისთვის პირთა ვინაობას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეფექტიანობისთვის რაოდენობაა საჭირო, თუმცა ვინაობების დადგენამ და იმ ადამიანების განეიტრალებამ, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ხელს უშლიდნენ ახალი კომუნისტური წესრიგის დადგომას, მეტი მნიშვნელობა მოკლე დროშივე შეიძინა.



შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო ისტორიაში მასობრივი და ინდივიდუალური ტერორის გამორჩეული ფაზა 1918 წლიდან იწყება და მომდევნო 70 წლის განმავლობაში გარდამავალი ინტენსივობით წარიმართა.

ბოლშევიკური ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდ ინოვაციას საიდუმლო ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის დაარსება წარმოადგენდა, რაც 1921 წელს ლენინის ბრძანებას დაეფუძნა.

ამ ლაბორატორიაში იქმნებოდა შხამები და ტოქსინები, რომლებიც პოლიტიკური მტრების გასანადგურებლად გამოიყენებოდა. კონსპიროლოგიური ევფემიზმების მოყვარულმა ლენინმა ლაბორატორიას ნეიტრალური სახელწოდება - „საიდუმლო კაბინეტი“ შეურჩია და პირადად დაიქვემდებარა. ლაბორატორიის თანამშრომლების წინაშე დასახული ამოცანა, სახელწოდებისგან განსხვავებით, მკაფიო და პირდაპირი იყო - შხამებისა და ტოქსინების კვლევა/წარმოება მტრების გასანადგურებლად.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ლაბორატორიის აქტივობა გარკვეული ხნის განმავლობაში შემცირდა, თუმცა 1930-იან წლებში სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დაქვემდებარებაში გადასული ლაბორატორიამ მეორე სიცოცხლე შეიძინა.

თითქმის 2 ათწლეულის განმავლობაში ლაბორატორიაში კვლევები ცოცხალ ადამიანებზე ტარდებოდა. მათ შორის: უცხო ქვეყნის ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულებზე, სამხედრო ტყვეებზე, პოლიტიკურ ოპონენტებსა და რიგით მოქალაქეებზე.

სხვადასხვა წყაროების (Birtshein 1997) თანახმად, ცდებისთვის მოკლული ადამიანების რაოდენობა 200-ს აღწევს. იყო შემთხვევები, როდესაც ლაბორატორიის მიერ შექმნილ შხამებს სიკვდილმისჯილი მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებდნენ.

ამ ლაბორატორიის შესახებ პირველი ცნობები 1938 წელს გავრცელდა, ე.წ მოსკოვის მესამე პროცესის დროს. დადგმულ სასამართლოზე სსრკ-ის ყოფილ ბელადებთან აღექსეი რიკოვთან და ნიკოლაი ბიხარინთან ერთად, ლაბორატორიის ყოფილი უფროსის, იგნატი კაზაკოვის ბედიც წყდებოდა.

სსრკ-ის ყოფილ მთავარ ტოქსიკოლოგს ბრალად ედებოდა უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის, ვიაჩესლავ მენჟინსკის, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ვალერიან კუიბიშევისა და მაქსიმ გორკის მკვლელობა, რომლის უკანაც შინსახკომის ყოფილი უფროსი გენრიხ იაგოდა იდგა. სავარაუდოა, რომ კაზაკოვი განტევების ვაცად გამოიყენეს და ჩამოთვლილი ადამიანების გარდაცვალებაში ის პირდაპირ არ მონაწილეობდა.

სასამართლო პროცესის დასრულებიდან მაღევე მოხდა სპეციალური ლაბორატორიის რეფორმირება და ამ დროიდან მოყოლებული მის საქმიანობას უშიშროების სამსახურის ახალი ხელმძღვანელი ლავრენტი ბერია მეთაღყურეობდა.

ისტორიკოსისა და ჟურნალისტის, არკადი ვაქსბერგის 2007 წელს გამოცემული წიგნის (Le laboratoire des poisons: De Lénine à Poutine) მიხედვით, სწორედ ბერიას ზეობის პერიოდში გაიზარდა ლაბორატორიის რესურსები და შესაძლებლობები. მოგვიანებით სწორედ საიდუმლო ლაბორატორიის საქმიანობა გახდება ბერიასა და მისი მოადგილეების მიმართ წაყენებული მრავალი ბრალდებიდან ერთ-ერთი.

ვექსელბერგის წიგნი „შხამების ლაბორატორია ლენინიდან პუტინამდე“ 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გახსნილ არქივებს ეფუძნება. ნაშრომის მიხედვით, სწორედ ამ საიდუმლო ლაბორატორიაში დამზადებული შხამებით, ტოქსინებითა  თუ ნარკოტიკული ნივთიერებებით არის მოკლული საბჭოთა ხელისუფლების ათობით ოპონენტი. მათი მცირე ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- **გენერალი ალექსანდრ კუტეპოვი** - თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1930 წელს საიდუმლო ლაბორატორიაში დამზადებული ნარკოტიკებით გაბრუებული კუტეპოვი გულის შეტევით გარდაიცვალა;

- **გენერალი ევგენი მილერი** - თეთრი მოძრაობის გამოჩენილი ლიდერი. იგი საბჭოთა უშიშროების ჯაშუშებმა გააბრუეს, რის შემდეგაც პარიზიდან მოსკოვში გაიტაცეს და დახვრიტეს.

- **თეოდორ რომჟა** - უკრაინის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი. იგი პატიმრობაში იმყოფებოდა, როდესაც მედდად შენილბულმა საბჭოთა უშიშროების თანამშრომელმა ბუნებრივი შხამით,  კურარეს ინექციით მოწამლა.

- **საი ოგინსი** - საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურის ყოფილი აგენტი, რომელიც 1930-იანი წლების ბოლოს ტროცკიზმის ბრალდებით დააკავეს და დაზარეთში ყოფნის დროს უცნობი შხამის ინექციით მოკლეს.

- **ვოლფგანგ ზაპუსი** - გერმანული წარმომავლობის ჩეხოსლოვაკი ტროცკისტი. მოკლულია მიუნხენში, საბჭოთა უშიშროების აგენტების მიერ ნელა მოქმედი შხამის ინექციით;

- **გეორგი მარკოვი** - ბულგარელი მწერალი, ჟურნალისტი და დისიდენტი. მოკლულია 1978 წელს ლონდონში საბჭოთა უშიშროების laboratoriaში დამზადებული რიცინის გრანულებით;

## კაცი მომწამვლელი პისტოლეტით

1962 წელს უჩვეულო სასამართლო პროცესი გაიმართა დასავლეთ გერმანიაში. ბრალდებული მთელი მონდომებით ამტკიცებდა, რომ გასულ წლებში ორი გახმაურებული მკვლელობა განახორციელა, რისთვისაც უნდა დასჯილიყო. ყოფილი კოლეგების შიშით, ბრალდებული დარწმუნებული იყო, რომ გერმანულ ციხეში უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა, ვიდრე თავისუფალი.

საუბარია ეხება ბოჰდან სტაშინსკის, საბჭოთა უშიშროების ყოფილ აგენტს, რომელსაც, მისი თქმით, სინდისი აწუხებდა და ცოლთან ერთად დასავლეთში გაიქცა.

1950-წლიანი წლებიდან სსრკ-ს საიდუმლო laboratiebში დამზადებული შხამები და ქიმიურ ნივთიერებები ძირითადად საზღვარგარეთ გამოიყენებოდა. ამ წლებში, მთავარი სამიზნეები ემიგრანტები იყვნენ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ evropaში შესული „წითელი არმიის“ დაზვერვის დანაყოფებს (SMERSH) ჰქონდათ ამ ქალაქში მცხოვრები „თეთრი“ ემიგრაციის გამოჩენილი წევრების მისამართები, რომელთაც ხშირად იტაცებდნენ, ხოლო შემდეგ რუსეთში ასამართლებდნენ.

სსრკ დიდ ყურადღებას უთმობდა ანექსირებული ქვეყნებიდან ემიგრირებულ ნაციონალისტურ ემიგრაციას, განსაკუთრებით  უკრაინულს, რომელიც ზომიდან, შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკიდან და ორგანიზების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ყურადღების ცენტრში იყო.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ დროისთვის ჯერ კიდევ აქტიური იყო უკრაინელ ნაციონალისტთა პარტიზანული დაჯგუფებები დასავლეთ უკრაინაში.

შესაბამისად, გამოჩენილი უკრაინელი ემიგრანტები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ შორის მთავარ ფიგურას უკრაინის ნაციონალისტური მოძრაობის

ღიდერი სტეპან ბანდერა წარმოადგენდა, რომელიც, მისი  მნიშვნელობიდან გამომდინარე, რთული სამიზნე იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის გერმანიაში გამოგონილი ვინაობით (სტეფან პოპელი) ცხოვრობდა, ჰყავდა პირადი დაცვა და ხშირად იცვლიდა საცხოვრებელს. ბანდერას ადგილსამყოფელის დადგენაზე საბჭოთა უშიშროება წლების განმავლობაში მუშაობდა. პარალელურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სცენარების განხილვაც.

ერთ-ერთ ასეთ სცენარს ემიგრაციაში მყოფი უკრაინულ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირების გაღვივება წარმოადგენდა. მით უფრო, რომ ამ ჯგუფებს შორის განხეთქილებები წარსულშიც არსებობდა. ამ ინიციატივის ფარგლებში საბჭოთა უშიშროებამ დაგეგმა ბანდერასთან დაპირისპირებული დაჯგუფების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგისა და პუბლიცისტის, ლევ რებეტის მკვლელობა. რებეტი, ბანდერასგან განსხვავებით, საკუთარი სახელითა და გვარით და  საკმაოდ ღია ცხოვრების წესით  ცხოვრობდა მიუნხენში.

რებეტის ლიკვიდაციისთვის ბოჰდ სტაშინსკი, დასავლეთ უკრაინის მკვიდრი შეარჩიეს. საბჭოთა უშიშროებამ იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში შანტაჟის გამოყენებით გადაიბირა. წყაროების ცნობით, სტაშინსკის ოჯახის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული იატაკქვეშა საქმიანობაში, რაც საბჭოთა დაზვერვისთვის ცნობილი გახდა.

ტრამვაიში უბილეთოდ მგზავრობის საფუძველზე, იგი უშიშროების განყოფილებაში გადაიყვანეს და  განუმარტეს, რომ თანამშრომლობაზე უარის შემთხვევაში, მისი ოჯახის ყველა წევრს დააპატიმრებდნენ.

კიევში საბჭოთა უშიშროების სასწავლებელში გატარებული 2 წლის შემდეგ, ბოჰდან სტაშინსკი უწყების ერთ-ერთი ყველაზე ფასეული და პროდუქტიული აგენტი გახდა. ამავე პერიოდში მას უკვე ამზადებდნენ საზღვარგარეთ გასაგზავნად, რისთვისაც გერმანული და პოლონური ენები ისწავლა და გამოგონილი ვინაობით აღმოსავლეთ გერმანიაში გაემგზავრა.

1954 წელს სტაშინსკი უკვე ბერლინში გაგზავნეს, სადაც მის უშუალო ხელმძღვანელს, КГБ-ს 6-ე განყოფილების ოფიცერს, აღექსეი დეიმონს პირველად შეხვდა. თითქმის 2-წლიანი ადაპტაციის შემდეგ, 1956 წლის დასაწყისში სტაშინსკიმ პირველი დავალება მიიღო - ის უნდა გამგზავრებულიყო მიუნხენში, სადაც საბჭოთა უშიშროების კიდევ ერთ აგენტს,

ივან ბისაგას უნდა შეხვედროდა. ბისაგა ამ დროისთვის უკვე გამოცდილი თანამშრომელი იყო, რომელსაც მოეხერხებინა ღევ რებეტის ახლო გარემოცვაში შეღწევა.

თავდაპირველად საბჭოთა უშიშროება რებეტის გატაცებას გეგმავდა, რისთვისაც ივან ბისგას საძიებე ფხვნილი უნდა ჩაეყარა მის სასმელში, თუმცა აგენტმა დავალებას თავი ვერ გაართვა, რის შემდეგაც მოსკოვში გაიწვიეს.

ამ წარუმატებლობის შემდეგ, რებეტის თვალთვალი და მისი საცხოვრებლის დადგენა სწორედ სტაშინსკის დაევალა. ამ მიზნით 1957 წელს სტაშინსკი რამდენიმეჯერ იმყოფებოდა მიუნხენში, სადაც დავალებას სათანადოდ გაართვა თავი - საბჭოთა უშიშროებას ჰქონდა რებეტის მისამართი, სამუშაო ოფისის მდებარეობა და მოძრაობის ყოველდღიური მარშრუტი.

უკვე სექტემბერშისტაშინკის მისმა ხელმძღვანელმა მოსკოვიდან ჩამოსული კოლეგა გააცნო, რომელმაც მას ციანიდრული ფორმის უცნაური მოწყობილობა წარუდგინა. სწორედ ამ მოწყობილობით უნდა მომკვდარიყო რებეტი.

საუბარია პისტოლეტზე, რომელიც ციანიდის ბაზაზე დამზადებული გაზით სავსე შუშის ცილინდრს შეიცავდა. სასხლეტის გამოკვრით შუშის ცილინდრი ტყდებოდა, ჰაერში მომწამვლელ გაზს აფრქვევდა, რასაც მსხვერპლის დაუყოვნებლივი სიკვდილი მოჰყვებოდა. სტაშინსკის განუმარტეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ სასხლეტს თითს მსხვერპლის მკერდის სისწორეზე გამოჰკრავდა, რათა მომწამვლელი აირები სასუნთქ სისტემაში აღმოჩენილიყო.

სტაშინსკის იარაღთან ერთად ასევე გადასცეს სპეციალური აბი, რომელიც იარაღის გამოყენებამდე უნდა მიეღო. ანტიდოტი აფართოებდა არტერიებს, რაც უსაფრთხოს ხდიდა მისთვის გასროლის ადგილას ყოფნას. მას განუმარტეს, რომ საწამლავი არ ტოვებდა კვალს და ცხედრის გაკვეთისას საეჭვოს ვერაფერს აღმოაჩენდნენ.

საყურადღებოა, რომ ამ დროისთვის სტაშინსკიმ ჯერ კიდევ არ იცოდა დანამდვილებით, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მისი მსხვერპლი, თუმცა ბოლო თვეებში, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ამის მიხვედრა რთული არ უნდა ყოფილიყო. რებეტის ლიკვიდაციით საბჭოთა უშიშროება ერთდროულად 2 მიზანს აღწევდა - გარდა უშუალოდ პოლიტიკური მოწი-



ნააღმდეგის მოშორებისა, მაღალი აღბათობით, მკვლელობაში ბანდერას ფრაქციას დაადანაშაულებდნენ, რაც უკრაინელ ნაციონალისტებში შულღს გააღრმავებდა.

1957 წლის 9 ოქტომბერს სტაშინსკი ბერლინიდან მიუნხენში მიფრინავს, რა დროსაც მკვლელობის იარაღი სოსისის თუნუქის ქილაში უდევს. დავალების მიხედვით, რებეტი მის სამუშაო ოფისთან უნდა მოეკლათ. სტაშინსკიმ მიიღო ანტიდოტი და რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდებოდა რებეტს, თუმცა ამაოდ.

12 ოქტომბერი, შაბათი იყო. უქმეებზე რებეტი სახლიდან მუშაობდა ხოლმე, თუმცა ამ დღეს ჩვევას უღალატა. ტრამვაიდან ჩამოსულ და ოფისისკენ მიმავალ რებეტს სტაშინსკი სადარბაზოში ელოდა. პირსახოცში გადახვეულ პისტოლეტის სასხლეტს მან თითი სწორედ მაშინ გამოჰკრა, როდესაც მსხვერპლის მკერდს გაუსწორდა. გასროლის შემდეგ სტაშინკი უკანმოუხედავად გარბის სადარბაზოდან და გზაში ანტიდოტის კიდევ ერთ ამპულას ხსნის, რომლის შესუნთქვასაც იგი უნდა დაეცვა. დავალების წარმატებით შესრულებაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როდესაც იარაღის მოცილების შემდეგ რებეტის ოფისთან შეკრებული პოლიციელები და ექიმები დაინახა.

ექსპერტიზამ რებეტის ცხედარში ციანიდი ვერ აღმოაჩინა, მისი გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად კი გულის შეტევა ჩაიწერა. ოპერაცია, რომლის მსვლელობასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშოვი პირადად აკონტროლებდა, უშიშროების სამსახურის დიდ წარმატებად მოინათლა.

უკვე 1959 წელს საბჭოთა უშიშროებაში დაიწყო სტეპან ბანდერას ლიკვიდაციის გეგმაზე მუშაობა. საყურადღებოა, რომ წყაროების (Plokhy, 2016) ცნობით, КГБ-ს ოფიცრების ნაწილი ლიკვიდაციის წინააღმდეგი იყო. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ უკვე ჰყავდათ ინფილტრირებული აგენტები ბანდერას გარემოცვაში და, ამ და სხვა გარემოებების მეშვეობით, მარტივად შეეძლოთ ბანდერათი მანიპულირება.

ჰარვარდის პროფესორის, სერჰი პლოხის წიგნის მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილება ბანდერას ლიკვიდაციის შესახებ ნიკიტა ხრუშჩოვის დაჟინებით მიიღეს. ხრუშჩოვი წარსულში საბჭოთა უკრაინის გენერალური მდივანი იყო, სწორედ მისი მმართველობის წლებში მიმდინარეობდა დასავლეთ უკრაინის გასაბჭოება და ბანდერას ლიკვიდაცია მისთვის პირადი პრესტიჟის საკითხად მიიჩნეოდა.

რებეტის წარმატებული მკვლელობის შემდეგ, სტაშინსკი პრაქტიკულად უალტერნატივო კანდიდატი იყო. სწორედ მას დაევალა ბანდერას მკვლელობას. ოპერაციის დასკვნითი ფაზა 1958 წელს დაიწყო. 25 მაისს სტაშინსკი კომიტეტის დავალებით როტერდამში გაემგზავრა, სადაც 20 წლით ადრე საბჭოთა უშიშროების აგენტისა და შხამების საიდუმლო ლაბორატორიის ერთ-ერთი აქტიური მესვეურის, პაველ სუდოპლატოვის მიერ მოკლული უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერის, ევგენი კონოვალეცის გასახსენებელი საღამო იმართებოდა. საღამოზე სიტყვით გამოვიდა სტეპან ბანდერა, სწორედ აქ ნახა მან პირველად თავისი მომავალი მსხვერპლი.

უკვე 1959 წლის იანვარში სტაშინსკი ერთ-ერთი ყალბი პასპორტით მიუნხენში გაემართა, სადაც მას უნდა დაედგინა ბანდერას მისამართი. უშიშროებისთვის ცნობილი იყო, რომ ბანდერა მიუნხენში სტეპან პოპელის სახელით ცხოვრობდა, თუმცა მხოლოდ ძველი მისამართი ჰქონდათ. სტაშინსკიმ მიუნხენის სატელეფონო ცნობარში მაღლევე აღმოაჩინა სტეპან პოპელის იმჟამინდელი მისამართი და ინფორმაციის სისწორეში მხოლოდ მას შემდეგ დარწმუნდა, რაც ადგილზე ბანდერას ავტომობილი აღმოაჩინა, რომლითაც ის როტერდამში იმყოფებოდა.

მოგვიანებით, აგენტ სტაშინსკის მოსკოვში იბარებენ, სადაც მას ბანდერას ლიკვიდაციის ბრძანება გააცნეს. მეთოდი ზუსტად იგივე იყო, რაც რებეტის შემთხვევაში. განსხვავებას ის წარმოადგენდა, რომ ამჯერად დანაშაულს მოდერნიზებული, ორლულიანი იარაღით ჩაიდენდა.

სერჰი პლოხის ცნობით, აღნიშნულ პისტოლეტს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აქტიურად იყენებდა გერმანული არმია, თუმცა საბჭოელებმა იარაღი მნიშვნელოვნად დახვეწეს. ჩანაფიქრის მიხედვით, ერთი ცილინდრი ბანდერას პირადი მცველისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე - თავად უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერისთვის. პისტოლეტის გარდა, სტაშინსკის გადასცეს ბანდერას სახლის სადარბაზოს გასაღებიც.

თავდაპირველი გეგმით, ბანდერას ლიკვიდაცია მაისში იყო დაგეგმილი, თუმცა ხელმძღვანელებისგან მიღებული სადარბაზოს გასაღებით სტაშინსკიმ კარის გაღება ვერ შეძლო, ვერ მოხერხდა ბანდერას ლიკვიდაციისთვის სხვა ადგილის მოძებნაც და ოპერაცია რამდენიმე თვით გადაიდო. სტაშინსკი მიუნხენში 1959 წლის ოქტომბერში ბრუნდება. 12 ოქტომბერს ის არ გეგმავდა ბანდერას ლიკვიდაციას და სწორედ ამიტომ მისი თვალთვალი მოგვიანებით, სამუშაო ადგილის გასწვრივ დაიწყო. ცეპელინშტრასეზე მისულმა სტაშინსკიმ დაინახა, თუ როგორ ჯდებოდა უცნობ ქალთან ერთად ბანდერა საკუთარ ავტომო-

ბიღში. აქედან სტაშინსკი ტრამვაით ბანდერას სახლისკენ გაემართა და სადარბაზოშიც შეაღწია. ბანდერა სახლში დღის პირველი საათისთვის მარტო დაბრუნდა.

სტაშინსკიმ გაატარა ზედა სართულიდან მომავალი ბანდერას მეზობელი. თავად ბანდერას ხელში სუნსათის პაკეტი ეჭირა, ამიტომაც სადარბაზოს კარის გაღება მცირე ხნით გაუჭიანურდა. ამ დროს სტაშინსკი იხრება, თითქოს თასმებს იკრავს და ბანდერას შენობაში შემოსვლისთანავე სახეშივე აცლის ციანიდის ორივე ამპულას. სტაშინსკი უკანმოუხედავად გარბის სადარბაზოდან და გზაში ანტიდოტით გაჟღენთილ ცხვირსახოცს სახეზე იფარებს. წინა შემთხვევის მსგავსად, იგი ფეხით მიემართება ჰოფგარტენის პარკში, სადაც მდინარეში ისვრის პისტოლეტს და მიიმალება.

პირიდან, ცხვირიდან და ყურებიდან მომდინარე სისხლის გუბეში მწოლიარე ბანდერა მაღლევე აღმოაჩინა მეზობელმა, რომელმაც დაუყოვნებლივ გამოიძახა სასწრაფო დახმარება, თუმცა ბანდერა მაღლევე გარდაიცვალა. თავდაპირველად ექიმები გარდაცვალების მიზეზად ინსულტს განიხილავდნენ, თუმცა ცხედრის ექსპერტიზამ ციანიდის კვალი აღმოაჩინა. გეგმის თანახმად, ექიმებს სიკვდილის მიზეზი ვერ უნდა დაედგინათ, თუმცა ციანიდის ჭარბმა დოზამ გეგმები არია.

მოსკოვში დაბრუნებული სტაშინსკი 3 ნოემბერს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბრძანებით, წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, თუმცა ამ დროისთვის მასსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთობები უკვე საბოლოოდ ფუჭდებოდა.

ბანდერას და რებეტის საქმეებზე სიმართლე მხოლოდ სტაშინსკის დასავლეთში გაქცევის შემდეგ, ზემოთ ნახსენებ სასამართლო პროცესზე გახდება ცნობილი. სტაშინსკის გადაწყვეტილების მთავარ მიზეზად პერსონალური მოტივები მიიჩნევა. ჩვენებების მიხედვით, მას აწუხებდა სინდისი, რის გამოც ცოლთან ერთად წლების განმავლობაში გეგმავდა დასავლეთში გაქცევას. პარალელურად სტაშინსკის უფუჭდებოდა ურთიერთობები ხელმძღვანელობასთან.

სწორედ სტაშინსკის მიერ მოყოლილი ისტორია დაედო საფუძვლად იან ფლემინგის ცნობილ ნოველას სახელწოდებით „კაცი მოწამლული პისტოლეტით“. წიგნის საწყის თავში მთავარი პერსონაჟი, ჯეიმს ბონდი სწორედ იმ პისტოლეტით მოქმედებს, რითიც სტაშინსკიმ ორი მკვლელობა ჩაიდინა.

# ლენინიდან პუტინამდე

ეს ფოტო გადაღებულია სანქტ-პეტერბურგში 2004 წლის 27 სექტემბერს. ფოტოზე აღბეჭდილია ადგილობრივი ბიზნესმენის დაცვის კერძო სამსახურის მფლობელის დაკრძალვის ცერემონია.

მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილი არ ყოფილა მაღალი პოლიტიკური ან სახელმწიფო თანამდებობის პირი, ვლადიმირის ტაძარი, სადაც პარაკლისი აღევლინა, გარშემორტყმული იყო სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებით, ხოლო ავტოსადგომი სავსე იყო სახელმწიფო უწყებების სპეციალური სანომრე ნიშნების მქონე ძვირადღირებული ავტომობილებით. დასაფლავების მომენტში ქალაქის სწრაფი რეაგირების საპოლიციო დანაყოფის რაზმმა, პატივისცემის ნიშნად, ფუჭი ვაზნებიც გაისროლა.

42 წლის მიცვალებული ოფიციალურად დაცვის ერთ-ერთი კერძო სამსახურის მფლობელი რომან ცეპოვი იყო, რომელსაც ქალაქშიც და ქვეყანაშიც „რომა პროდიუსერის“ მეტსახელით იცნობდნენ.

აქვეა მეორე ფოტოც, რომელიც ცეპოვის გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე, პუტინის პირველ საპრეზიდენტო ინაუგურაციაზეა გადაღებული, თანაც საპატიო სტუმრების სექტორში.

მშრალი დოსიეს მიუხედავად, რომან ცეპოვი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანი იყო. კრიმინალურ სამყაროსთან, სამართალდამცავ უწყებებთან და პოლიტიკურ ელიტასთან თანაბრად მყარი კავშირებით, მან წარმატებით მოახერხა პოსტსაბჭოთა განგსტერული კაპიტალიზმის მოლიპულ გზაზე სიარული, რითიც სარფიან ეკონომიკურ აქტივებს დაეუფლა.

მისი პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი დაცვის კერძო სამსახურის დაფუძნება იყო. ჩრდილოვანი ეკონომიკის სექტორიდან ამოზრდილ კომერსანტებს მათ უსაფრთხოებაზე მზრუნავი სამსახურები ესაჭიროებოდათ, განსაკუთრებითი მაშინ, როდესაც სახელმწიფო სწრაფი ტემპით კარგავდა კონტროლს მოვლენებზე.

სასურველი იყო კუნთმაგარი და შეიარაღებული ხალხი, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ქუჩაში შეძლებდნენ პატრონის ინტერესების დაცვას. მოკლე დროში რუსეთის ქალაქები ტყავის ქურთუკში გამოწყობილი დაცვის კერძო სამსახურების ბიჭებით გაივსო, რომელთა გარეშეც ეკონომიკური საქმიანობა წარმოუდგენელი გახდა.

რომან ცეპოვს კარგი ურთიერთობები ჰქონდა როგორც ბიზნესმენებთან, ასევე იმ დროს ძლევამოსილ კრიმინალურ დაჯგუფებებთან, რომლებიც პეტერბურგში ძირითადად „ტამბოვისა“ და „მალიშევის“ საძმოებით იყო წარმოდგენილი.

ამ ურთიერთობების ნიადაგზე მისი გავლენები მუდმივად იზრდებოდა, თუმცა ცეპოვის ცხოვრება რადიკალურად 1994 წელს შეიცვალა. საქმე ის არის, რომ  კანონმდებლობით რუსეთის სახელმწიფო დაცვის სამსახური (ФСО) მხოლოდ ქალაქის მერებს ემსახურებოდა. აქედან გამომდინარე, სანქტ-პეტერბურგის ადმინისტრაცია იძულებული იყო, რომ ვიცე-მერისთვის დაცვის კერძო სამსახური ექირავებინა. მთავარიც აქედან იწყება: 1992-1996 წლებში ქალაქის ვიცე-მერის პოსტს ვლადიმერ პუტინი იკავებდა. წყაროების ცნობით, ცეპოვის კომპანიას რეკომენდაცია იმდროინდელი მერის, ანატოლი სობჩაკის დაცვის უფროსმა, ვიქტორ ზოლოტოვმა გაუწია. ზოლოტოვს და ცეპოვს ახლო ურთიერთობები ჰქონდათ, რადგანაც ზოლოტოვის თანამშრომლები, ანაზღაურების სანაცვლოდ, ცეპოვის თანამშრომლებს წვრთნიდნენ.

ამგვარად, ცეპოვის ხელში პოტენციურად უდიდესი აქტივი აღმოჩნდა. ყველაფერი კაზინოთი დაიწყო, რომელთა საქმიანობაზეც ლიცენზიას მერია გასცემდა, ამ პროცესს კი ვლადიმერ პუტინი აკონტროლებდა. სისტემა იმ დროის რუსეთისთვის კლასიკურად გამოიყურებოდა: ლიცენზიის აღება შესაძლებელი იყო მხოლოდ ქრთამის მეშვეობით.  გარდა ამისა, ყოველთვიური შენატანი იყო საჭირო შეუფერხებელი მუშაობისთვის -  ერთგვარი სააბონენტო გადასახადი. მერიისთვის პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სათამაშო ბიზნესს დანაშაულებრივი დაჯგუფებები აკონტროლებდნენ, აქ კი ხშირი იყო შეტაკებები, შეკვეთილი საპოლიციო და საგადასახადო რეიდები ერთმანეთის წინა-

აღმდეგ ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადებით, მით უფრო, რომ ხშირად ჩადება საჭიროც არ იყო.

ვლადიმერ პუტინისა და სანქტ-პეტერბურგის მერიას სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც მუდმივ კავშირზე იქნებოდა კაზინოების მფლობელ ბანდიტებთან, დაარეგულირებდა მათთან ურთიერთობებს და მოაწესრიგებდა ფინანსურ მხარეს. რომან ცეპოვი ამ საქმეში ნამდვილად უალტერნატივო კანდიდატი იყო. იგი იცნობდა ბანდიტებსაც და სამართალდამცველებსაც, უყვარდა და კარგად გამოსდიოდა შუამავლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცეპოვის ჩართვის შემდეგ მერია კაზინოებისგან მხოლოდ ფულს იღებდა, დანარჩენ პრობლემურ საკითხებს კი უკვე ცეპოვი აგვარებდა.

მომდევნო წლებში ცეპოვის გავლენა მხოლოდ იზრდებოდა და რაღაც ეტაპზე სპეცსამსახურებში, სამართალდამცავ უწყებებსა და "შემოსავლიანი" ადმინისტრაციული თანამდებობით ვაჭრობასაც დაიწყებს.

ცნობილი პეტერბურგელი ჟურნალისტი, დმიტრი ზაპოლსკი, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „ცეპოვმა ვიქტორ ზოლოტოვთან ერთად შექმნა სისტემა, რომელშიც ისინი იყვნენ შუამავლები ხელისუფლებასა და კრიმინალს შორის, სამართალდამცავ უწყებებსა და მაფიას შორის. სწორედ ამ დროს გაჩნდა საპოლიციო უწყებების მონეტიზაციის იდეა. ჩანაფიქრის მიხედვით, იყიდებოდა ყველაფერი: უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმის დახურვა, ან აღძვრა, ციხიდან გამოშვება ან პირიქით, ვინმეს შეკვეთით დაპატიმრება. რომას ეს კარგად გამოუვიდა. მთელი სისტემის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა იყიდებოდა. ცეპოვი ყოველი დანიშვნის სანაცვლოდ ნაღდი ფულით სავსე ჩემოდნებს იღებდა“.

სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ცეპოვის მეტსახელი „პროდიუსერი“, თუმცა უნდა ითქვას, რომ ცეპოვი მართლაც პირდაპირი მნიშვნელობით იყო პროდიუსერი. სწორედ მან დააფინანსა 90-იანების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სერიალის, „ბანდიტური პეტერბურგის“ გადაღება. მეტიც, მან ერთ-ერთ სერიაში ეპიზოდური როლიც შეასრულა - გაგიკვირდებათ და კრიმინალური ავტორიტეტის როლში.

ცეპოვსა და მისი მფარველების „აღმასვლა“ კრიმინალურ ოლიმპზე მცირე ხნით მას შემდეგ შეფერხდა, რაც 1996 წელს ანატოლი სობჩაკმა მოულოდნელად წააგო მერის არჩევნები. სობჩაკთან ერთად უმუშევარი დარჩა მისი მოადგილე ვლადიმერ პუტინიც, თუმცა მხოლოდ

რამდენიმე თვით. მაღე პუტინი მოსკოვში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სამუშაოდ გადაიყვანეს, საიდანაც ის სწრაფად გაივლის კარიერულ კიბეს ადმინისტრაციის საშუალო რანგის ჩინოსნიდან უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის უფროსამდე, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლამდე, პრემიერ-მინისტრობამდე და ბოლოს პრეზიდენტობამდეც.

სახელისუფლებო კიბეზე სწრაფად დაწინაურებულ პუტინს არ დავიწყებია ძველი ნაცნობები - მათი ნაწილი სამუშაოდ მოსკოვში წაიყვანა, ხოლო ნაწილის და მათ შორის ცეპოვის ინტერესებზე, დისტანციურად ზრუნავდა. ამაზე მიუთითებს ცეპოვის გამორჩეული სტატუსი 2000 წელს პუტინის პირველ ინაუგურაციაზე. ამ წლებში ადგილობრივი პრესა ცეპოვს ლენინგრადის ოლქში პუტინის ჩრდილოვან წარმომადგენელს უწოდებდა, თუმცა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ყველაფერი მოულოდნელად დასრულდა.

2004 წლის 11 სექტემბერს რომან ცეპოვი ჩვეულებისამებრ ესტუმრა მეგობრებს სანქ-პეტერბურგის „ეფ-ეს-ბეს“ მთავარ სამმართველოში. შენობაში ცეპოვი მის ნაცნობს შეხვდა, რის შემდეგაც ჩაით გაუმასპინძლდნენ. დაახლოებით ერთ საათში ცეპოვი საკუთარი ფირმის ოფისისკენ დაიძრა, თუმცა გზაში თავი შეუძლოდ იგრძნო. მისი მდგომარეობა იმდენად სწრაფად გაუარესდა, რომ მძღოლმა უახლოესი საავადმყოფოსკენ გადაუხვია. პრაქტიკულად საავადმყოფოში მიყვანისთანავე ცეპოვმა გონება დაკარგა.

ექიმები თავდაპირველად ტვინის შეშუპებაზე საუბრობდნენ, თუმცა მოწამვლის ვერსიაც მალევე გაჩნდა. ცეპოვის ნათესავებმა დაიწყეს სასწრაფო მოლაპარაკებები გერმანიის ერთ-ერთ საავადმყოფოსთან, თუმცა პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი ტრანსპორტირება არ იყო რეკომენდირებული. მალევე ექიმებმა დაადგინეს, რომ პაციენტის ძვლის ტვინი მძიმედ იყო დაზიანებული.

ცეპოვის მდგომარეობა 2 კვირის განმავლობაში მუდმივად მძიმდებოდა: ძვლის ტვინისა და ღვიძლის დაშლა, თმების ცვენა, მუდმივად სისხლმდინარე სტომატიტი პირის ღრუში. ლეიკოციტების დონის დაცემის გამო, პაციენტის იმუნური სისტემა უბრალოდ ინგრეოდა - ეს ყველაფერი სხივური დაავადების ნიშანია, თუმცა ცეპოვის ანალიზები რადიაციის არანაირ კვალს არ აჩვენებდა.

22 სექტემბერს ცეპოვი სვერდლოვის სახელობის საქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია იგეგმებოდა, მაგრამ ოპერაციის დაწყებამდე

იგი გარდაიცვალა. გამოძიების დაწყებას არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. მის ნათესავებს უარს ეუბნებოდნენ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნისა და საქმის შედეგების გაცნობაზე.

მომდევნო თვეებში გაჩნდა ვერსიები ლეიკემიის საწინააღმდეგო პრეპარატით მოწამვლის შესახებ. ერთ-ერთი ვერსიით, ცეპოვს მომწამვლელ „რეაგენტს“ დიდი ხნის განმავლობაში მცირე დოზით აძლევდნენ, რაც საბოლოოდ ფატალურად დასრულდა. ასევე ვრცელდებოდა ვერსიები, თითქოს ცეპოვს სიმსივნე სჭირდა და ლეიკემიის საწინააღმდეგო პრეპარატს თავისი ნებით იღებდა, თუმცა ეს იმთავითვე ყველაზე სუსტი ვერსია იყო. საქმე ის არის, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ცეპოვმა გერმანიაში სრული გამოკვლევა ჩაიტარა და ექიმებმა ვერანაირი სერიოზული პათოლოგია ვერ აღმოაჩინეს.

მაღალი აღბათობით, ცეპოვის გარდაცვალება კვლავ იდუმალებით მოცული იქნებოდა, რომ არა რუსული სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული კიდევ ერთი პოლიტიკური მკვლელობა. 2006 წლის 1 ნოემბერს ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროს ბარში „ეფ-ეს-ბეს“ ყოფილი ოფიცერი აღექსანდრ ლიტვინენკო, რომელიც ბრიტანეთში ედვინ კარტერის ფსევდონომით ცხოვრობდა, უწყებიდან თავის ყოფილ კოლეგებს შეხვდა.

რამდენიმე წლით ადრე, ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო, სამსახურიდან სკანდალურად წამოსული ლიტვინენკო პოლიტიკურ თავშესაფარს ბრიტანეთში იღებს, სადაც რუსეთის ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კრიტიკოსი გახდა.

ლუგოვოისთან და კოტუნთან შეხვედრის შემდეგ, რომან ცეპოვის მსგავსად, ლიტვინენკოც ცუდად გახდა - დაეწყო ძლიერი ღებინება და დიარეა. თითქმის 24-საათიანი ავადმყოფობის შემდეგ ლიტვინენკომ მეუღლეს სასწრაფო დახმარების გამოძახება სთხოვა. ის საავადმყოფოში 3 ნოემბერს გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაადგინეს მისი ცუდად ყოფნის მიზეზი. კლინიკის პალატაში მყოფმა ლიტვინენკომ დეტექტივებს განუცხადა, რომ ის დარწმუნებული იყო, რომ პუტინმა მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა.

ლიტვინენკოს მკურნალი ექიმები რთულ ვითარებაში იყვნენ: ერთი შეხედვით, პაციენტი მწვავე სხივური დაავადებით კვდებოდა. მას აღენიშნებოდა ყველა შესაბამისი სიმპტომი: ლეიკოციტების ლონის მკვეთრი და ფატალური ვარდნა, იმუნური სისტემის დაშლა, ძვლის ტვინის დაზიანება და თმის ცვენა, მაგრამ ამასთანავე ლიტვინენკოს შარდის და სისხლის ანალიზი გეიგერის მრიცხველით არანაირ რადიაციას არ აჩვენებდა.

ანალოგიური ვითარება იყო რომან ცეპოვის შემთხვევაშიც, რომელზეც მისი მკურნალი ექიმი  პიოტრ პერუმოვი „რადიო თავისუფლების“ რუსული  სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

სხივური დაავადება რადიაციის გარეშე მხოლოდ ძალიან იშვიათი ნივთიერების შემთხვევაშია შესაძლებელი. საუბარია პოლონიუმ-210-ზე, რომელსაც თითქმის არ აქვს გამოსხივება და რომელსაც ვერ აღიქვამს გეიგერის მრიცხველი. პოლონიუმ-210 მხოლოდ სუსტად შესამჩნევ აღფა სხივებს ატარებს, რომლებიც რამდენიმე სანტიმეტრზე ვრცელდება. აქედან გამომდინარე, ამ ნივთიერებით მოწამვლამხოლოდ ორაღურად მიღების შემთხვევაშია შესაძლებელი. მაგალითად, თუ ჩაიში გარსის მქონე წყალში ხსნად კაფსულას მოათავსებენ.

აღფა სხივების დასაფიქსირებლად  საჭიროა სპეციალური დანადგარები, რომლებიც, როგორც წესი, ექიმებს ან სასამართლო სამედიცინო ექსპერტებს არ აქვთ.

ასეთ დანადგარებს ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო ლაბორატორიაში თუ მიაგნებ. უკვე 23 ნოემბერს, ლიტვინენკოს გარდაცვალების დღეს, მისი ანალიზები ბირთვულ იარაღზე მომუშავე სამხედრო ლაბორატორიაში გაგზავნეს. ლაბორატორიაში ჩაატარეს აღფა სპექტრომეტრია და დადგინდა, რომ ლიტვინენკო პოლონიუმის უზარმაზარი დოზით იყო მოწამლული, თანაც სუფთა პოლონიუმით, რომლის მიღებაც მხოლოდ ინდუსტრიულ ბირთვულ რეაქტორშია შესაძლებელი.

როგორც გაირკვა, ამ ტიპის პოლონიუმს მსოფლიოში მხოლოდ ერთი ქვეყანა ერთ დაწესებულებაში აწარმოებდა, რომელიც არის  სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება „ავანგარდი“, ქალაქი არზამას-16, რუსეთი. „პოლონიუმ-210“  სტრატეგიული ბირთვული მასალაა, რომელიც სახელმწიფოს უმკაცრესი კონტროლის ქვეშაა. აქედან გამომდინარე, როგორც ლიტვინენკოს, ასევე ცეპოვის შემთხვევაში, მკვლელობის შემკვეთის ვინაობა რთული გამოსაცნობი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ცეპოვის საქმეზე სრულყოფილი გამოძიება არავის ჩაუტარებია, ორივე შემთხვევაში იდენტური ნივთიერებების გამოყენებაზე საუბრობს თავის წიგნში „КГБ-ის შხამის ქარხანა: ლენინიდან ლიტვინენკომდე“ რუსეთის სპეცსამსახურების ისტორიკოსი ბორის ვოლოდარსკი.

თუკი ლიტვინეკოს შემთხვევაში მიზეზი ნათელია, რთული სათქმელია, თუ რატომ გადაწყვიტა ვლადიმერ პუტინმა თავისი ყოფილი საქმიანი პარტნიორის მოშორება, თანაც ამდენად ეგზოტიკური იარაღით. ამ საკითხზე რამდენიმე განსხვავებული ვერსია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, გარდაცვალებამდე ცეპოვის „მადამ“ ზომაზე მეტად მოიმატა და ის სახელმწიფოსა და მიხაილ ხადარკოვსკის შორის შუამავლობას ცდილობდა. იმ დროს ხადარკოვსკი უკვე დაკავებული იყო ე.წ. იუკოსის საქმეზე.

რუსული მედიის ცნობით, საქმეში ცეპოვის აქტიურობამ საქმის ინიციატორების - იგორ სეჩინისა და ვლადიმერ პუტინის უახლოესი გარემოცვის სხვა წევრების უკმაყოფილება გამოიწვია.

ასევე საუბრობენ ცეპოვის მიერ 2004 წლის გაზაფხულზე ადგილობრივი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუზე, სადაც მან დაადასტურა ვლადიმერ პუტინთან პირადი ნაცნობობა, თუმცა კატეგორიულად უარყო მასთან კომერციული ხასიათის პარტნიორობა. ფრთხილი აქცენტების მიუხედავად, სავარაუდოა, რომ კრემლში არ იქნებოდნენ ბედნიერები საყოველთაოდ ცნობილი კრინიმანალური ავტორიტეტის და პრეზიდენტის ნაცნობობით. უნდა ვიფიქროთ, რომ კრემლის ბინადრებისთვის პრობლემას წარმოადგენდა ცეპოვის ცოდნაც, მათ შორის 1990-იანი წლების პეტერბურგის ბანდიტურ ცხოვრებასა და იმდროინდელ კორუფციული გარიგებების შესახებ.

## ორმაგი ჩავარდნა

რამდენადაც პოლიტიკური მკვლელობები შესაძლოა ხელსაყრელი იყოს მისი დამკვეთისთვის დასახული მიზნების მიღწევაში, იმდენადვე შესაძლოა დამაზიანებელი იყოს, თუ ოპერაცია ამა თუ იმ მიზეზით ჩავარდა და პოტენციური მსხვერპლი სიცოცხლეს შეინარჩუნებს.

მსგავსი ჩავარდნების მაგალითი მსოფლიოს უახლოეს ისტორიაში არაერთია, მათ შორის ქიმიური იარაღით განხორციელებული მკვლელობის მცდელობები.

როგორც წესი, ქიმიური იარაღის გამოყენებას საბჭოთა სპეცსამსახურები მრავალი ათწლეულის განმავლობაში, პირველ რიგში, მისი მაღალი ლეტალობიდან გამომდინარე ანიჭებდნენ უპირატესობას. საბჭოთა საიდუმლო ლაბორატორიებში ათწლეულობის

განმავლობაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კვლევების და ცდების მთავარი მიზანი იმგვარი ნივთიერებების სინთეზირება იყო, რომლის კვალის აღმოჩენაც შეუძლებელი იქნებოდა და მომხდარის ერთადერთ ახსნად ბუნებრივი სიკვდილი დარჩებოდა, თუმცა ასეთი იარაღის გამოყენების შემთხვევაშიც, შესაძლოა საქმე წარუმატებლად დასრულდეს.

ჯერ კიდევ ცეპოვისა და ლიტვინენკოს საქმეებამდე ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლით მსოფლიოს ყურადღების ცენტრში უკრაინა აღმოჩნდა. ამ დროისთვის უკრაინაში მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი იყო. მთავარი კონკურენტები იმდროინდელი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას მიერ საკუთარ მემკვიდრედ შერჩეული ვიქტორ იანუკოვიჩი და ყოფილი პრემიერი ვიქტორ იუშენკო მოიაზრებოდნენ.

წინასაარჩევნო კვლევები დიდი ხნის განმავლობაში ვიქტორ იანუკოვიჩის უპირატესობაზე მიუთითებდა, მას ჰქონდა მთავრობის ადმინისტრაციული რესურსის, ქვეყნის ყველაზე მდიდარი ოლიგარქისა და, რაც მთავარია, რუსეთის მხარდაჭერა.

ბევრი მკვლევარი სწორედ 2004 წელს მიიჩნევს ვლადიმერ პუტინის უკრაინაზე ფიქსაციის დაწყების ხანად. რთულია არ დაეთანხმო ამ შეხედულებას იმის გათვალისწინებით, რომ კამპანიის პერიოდში კრემლმა იანუკოვიჩის დასახმარებლად საკუთარი პოლიტტექნოლოგიების გუნდი გაგზავნა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე იანუკოვიჩსა და პუტინს შორის 6 შეხვედრა შედგა. პუტინი პრაქტიკულად პირდაპირ მონაწილეობდა იანუკოვიჩის კამპანიაში, მეტიც, 2004 წელს უკრაინელმა ტელემაყურებლებმა უჩვეულო სანახაობა იხილეს - იანუკოვიჩის საარჩევნო შტაბისა და 3 უკრაინული ტელეარხის ორგანიზებით, შედგა ვლადიმერ პუტინის პირდაპირი ეთერი უკრაინელ ხალხთან. ფორმატი უკვე აპრობირებული და პოპალური იყო რუსეთში. ამგვარად, უკრაინელ ხალხთან პუტინის პირდაპირი მრავალსაათიანი კომუნიკაცია კრემლში ეფექტიან გზად მიიჩნეოდა იანუკოვიჩის დასაწინაურებლად.

იანუკოვიჩი რუსეთთან დაახლოებისა და ახლო ეკონომიკური კავშირების შემდგომი ინტეგრაციის პლატფორმაზე გამოდიოდა. იუშენკოს პლატფორმა კი პირიქით, პრო-დასავლური იყო და ამომრჩევლებს ევროპულ ინტეგრაციას ჰპირდებოდა. იუშენკო განსაკუთრებით პოპულარული იყო ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში. მიუხედავად ამისა, ეროვნულ დონეზე უპირატესობა მაინც იანუკოვიჩს ჰქონდა, მაგრამ იყო ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, რასაც შესაძლოა ხელი შეეშალა კრემლის ფავორიტისთვის. იანუკოვიჩის გამარჯვების, მით უფრო დამაჯერებელი გამარჯვების, შანსები მნიშვნელოვნად მცირდე-

ბოდა, თუკი იუშენკო და კიდევ ერთი უკრაინელი პოლიტიკოსი, იულია ტიმოშენკო რაიმე ტიპის პოლიტიკურ აღიანსზე შეთანხდებოდნენ.

ამ ვითარებაში კამპანიის მსვლელობა თავდაყირა დააყენა სრულიად წარმოუდგენელმა ამბავმა, რომლის პროგნოზირებაც საუკეთესო სოციოლოგებსაც არ შეეძლოთ.

2004 წლის 5 სექტემბერს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის აგარაკზე ვახშმიდან სახლში დაბრუნებულმა იუშენკომ თავი შეუძლოდ იგრძნო.

„ტუჩებზე მეტალის გემო რატომ გაქვს, - მკითხა ცოლმა მას შემდეგ, რაც სახლში დაბრუნებულმა გადავკოცნე“- იხსენებს იუშენკო. მომდევნო დღეებში იუშენკოს მდგომარეობა ეტაპობრივად უარესდებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატს უჭირდა გადაადგილება და სივრცეში ორიენტირება. უკვე 10 სექტემბერს უკრაინის მომავალი პრეზიდენტი ვენაში მწვავე პანკრეატიტის ნიშნებით გადაიყვანეს. იუშენკოს აღენიშნებოდა ინტერსტიციალური ქსოვილების შეშუპება, რისი გამოწვევაც მხოლოდ მწვავე ვირუსულ ინფექციას შეუძლია. ძალიან მალე იუშენკოს სახე და მთელი სხეული ქლორაკნეს გამონაყარით დაიფარა.

ლონდონის წმინდა მარიამის ჰოსპიტალის ტოქსიკოლოგის, ჯონ ჰენრის პირველადი დასკვნით, იუშენკოს ავადმყოფობა დიოქსინით მოწამვლის შედეგი იყო. მსგავს დასკვნამდე მივიდა ნიდერლანდელი ტოქსიკოლოგი ბრამ ბაუერიც, რომლის მტკიცებითაც, იუშენკოს სისხლში დიოქსინის დონე 6 ათასჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. ექიმების ცნობით, ანალიზები მიუთითებდა, რომ დიოქსინის ჭარბი დოზა პაციენტის სხეულში დაახლოებით 5 დღით ადრე აღმოჩნდა.

2009 წლის აგვისტოში, სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში“, შვეიცარიელი და უკრაინელი მედიკოსების მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ იუშენკო მოწამლეს ტეტროქლორობენზოდიოქსინით (TCDD). ამავე დასკვნის მიხედვით, დიოქსინი იმდენად სუფთა იყო, რომ მისი დამზადება მხოლოდ წამყვან ლაბორატორიებში იქნებოდა შესაძლებელი.

ლალასის სამედიცინო ცენტრის ექსპერტი არნოლდ შრეხტერი Washington Post-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ დიოქსინი ძალიან ეფექტიანი საწამლავია, განსაკუთრებით იმ ადამიანებზე მოქმედებს, რომელთა ორგანიზმი განსაკუთრებით სენსიტიურია შემავალი ნივთიერების მიმართ. შრეხტერის თქმით, იუშენკოს დიოქსინით მოწამვლა საკითხში ფუნდამენტურად გაცნობიერებული ადამიანების გადაწყვეტილება იყო.



მართლაც, ვახშამზე იუშენკოსთან ერთად, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გარდა, იმყოფებოდნენ მისი მოადგილე ვლადიმირ საციუკი და იუშენკოს შვილის ნათლია და იმ დროს პოლიტიკური თანაგუნდელი დავით ჟვანია. სამივე მათგანი ახლოს იცნობდა იუშენკოს. საყურადღებოა, რომ საციუკი მალევე რუსეთში გაიქცა. სწორედ მას ასახელებდა მკვლელობის უშუალო ორგანიზატორად ვიქტორ იუშენკო.

შრეხტერის თქმით, საჭმელში გარეული დიოქსინის დიდი დოზის გარჩევა გემოთი შეუძლებელია და მისი ეფექტი მხოლოდ რამდენიმე დღეში ხდება ცნობილი.

„თუ გსურთ, ვინმე რაც შეიძლება სწრაფად მოკლათ, დიოქსინი არ გამოგადგებათ, მაგრამ თუ თქვენ გსურთ ვინმეს მოკვლა კონტაქტიდან რამდენიმე დღის, კვირის ან 1 თვის შემდეგ, ნელა და ეტაპობრივად, მაშინ დიოქსინი უალტერნატივოა“- ამბობს შრეხტერი.

იმავე კვლევის მიხედვით, იუშენკო მოწამვლის შედეგად განვითარებულმა კეთილთვისებიანმა სიმსივნემ გადაარჩინა. მიუხედავად ამისა, ვიქტორ იუშენკოს ორგანიზმის შხამისგან გაწმენდის პროცესი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

თავად მოწამვლის ფაქტს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე სეისმური ეფექტი ჰქონდა. ამას ხელი შეუწყო იუშენკოს პოლიტიკური ოპონენტების აგდებულმა დამოკიდებულებამ. იანუკოვიჩის ბანაკში აცხადებდნენ, რომ იგი უვარგისი სუშის ჭამის შემდეგ მოიწამლა ან მისი „დეფორმირებული სახე უიღბლო კოსმეტიკური ოპერაციის“ შედეგი იყო.

მოწამვლის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნებული იუშენკოს გამოსვლამ პარლამენტში უკრაინის მოსახლეობა შოკში ჩააგდო, მათ წინაშე სრულიად სხვა ადამიანი იყო - მკვლელობას გადარჩენილი პირი, რომლის სახეც სრულიად სხვანაირად გამოიყურებოდა.

"იუშენკოს მოწამვლამ სრულად შეცვალა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა და ხასიათი, უცებ გაჩნდა შიში და დათრგუნულობა, ჩვენ ამისთვის მზად არ ვიყავით"- იხსენებს (Zygar, 2023) რუსი პოლიტტექნოლოგი გლებ პავლოვსკი, რომელიც კრემლმა ვიქტორ იანუკოვიჩის დასახმარებლად კიევში მიავლინა.

იუშენკოს ბრძოლიუნარიანობასთან ერთად მისი შანსები მკვეთრად გაიზარდა და პირველად წინასაარჩევნო კვლევების ლიდერი გახდა.

საბოლოოდ, ეს ბრძოლა „ნარინჯისფერი რევოლუციით“ დასრულდა. რუსეთის ჩართულობის და შედეგების ფალსიფიკაციის მიუხედავად, კიევის მთავარ მოედანზე შეკრებილმა უკრაინელებმა თავისი გაიტანეს. საკონსტიტუციო სასამართლომ მეორე ტურის ხელახლა ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, რომელშიც იუშენკომ დამაჯერებლად გაიმარჯვა. იანუკოვიჩს ვერც პუტინის ნაჩქარევმა მილოცვამ უშველა.

ამგვარად, იუშენკოს ლიკვიდაციის წარუმატებელი მცდელობა რუსეთისთვის დიდი ჩავარდნით დასრულდა: მათმა რჩეულმა კანდიდატმა არჩევნები წააგო, დროებით დაკარგეს გავლენა ქვეყანაზე, რაც პუტინის პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი მარცხი იყო უკრაინაში.

## ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია: ნოვიჩოკი

2017 წლის სექტემბერში ვლადიმერ პუტინმა ღიად განაცხადა, რომ რუსეთმა მის საკუთრებაში არსებული ყველა ქიმიური იარაღი გაანადგურა. მეტიც, იგი იმდენად შორს წავიდა, რომ მსგავსი ნაბიჯის გადადგმისკენ ამერიკის ხელისუფლებასაც მოუწოდებდა.

რუსეთის პრეზიდენტის ეს განცხადება *„ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამაც“* (OPCW) დაადასტურა. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ მოხდა მომდევნო პერიოდში კრემლის მიერ ოპონენტების ქიმიური ნაერთებით მოწამვლა?

პასუხი მარტივია: განადგურებული იარაღის ჩამონათვალში არ შედიოდა ნოვიჩოკი - ქიმიური იარაღი, რომელიც უკანასკნელ წლებში პუტინის რუსეთის კრიტიკოსებისთვის „გულუხვად“ გამოიყენებოდა.

ნოვიჩოკის სხვადასხვა ფორმულა ქიმიური იარაღის კონვენციით  აკრძალულ ჩამონათვალს 2019 წლიდან დაემატა, შესაბამისად, ერთია საჯარო განცხადება და მეორეა რეალობა, რომელიც სკრიპალების ოჯახმა -  ალექსეი ნავალნიმ, ვლადიმერ კარა-მურზამ ან ემილიან გებრევმა, სხვებთან ერთად, საკუთარ თავზე გამოცადეს.

ფართო საზოგადოებისთვის ამ შემთხვევებიდან ყველაზე ცნობილია მამა-შვილის, სკრიპალებისა და ალექსეი ნავალნის მოწამვლა, მაგრამ სანამ მათ მიმოხილვაზე გადავალთ, იქამდე თავად ამ ქიმიური იარაღის შექმნის ისტორიას გადავხედოთ.

## ძირითადი ცნობები ნოვიჩოკზე

ნერვული აგენტი „ნოვიჩოკი“, რომელიც ქოლინესთერაზის ინჰიბიტორების ოჯახს მიეკუთვნება, რუსეთის ორგანული ქიმიისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტშია (ГосНИИОХТ) შემუშავებული. მისი გამოყენება  თხევადი, ფხვნილისა და აეროზოლის სახით არის შესაძლებელი.

იქიდან გამომდინარე, რომ ნოვიჩოკის გამოყენებაზე ინფორმაცია შეზღუდულია, ხოლო მისი წარმოება საიდუმლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა, ბოლო დრომდე ბევრი არაფერი იყო ცნობილი.

თუმცა თითქმის დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ნოვიჩოკის სხვადასხვა ტიპი, მათ შორის სამხედრო გამოყენების მიზნით შექმნილი, რომლის იდენტიფიცირებაც საერთაშორისო ინსპექტირების ფარგლებში რთულია. აქვე ხაზგასასმელია, რომ საომარ ვითარებაში ეს ქიმიური იარაღი არასდროს გამოუყენებიათ, თუმცა ინდივიდუალური თავდასხმის შემთხვევები, სავარაუდოდ, იმაზე გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე საზოგადოებისთვისაა ცნობილი.

რაც შეეხება შექმნის ისტორიას, ყველაფერი გასულ საუკუნეში, საბჭოთა კავშირში დაიწყო. 1971 წლის მაისში „კომუნისტური პარტიის“ ცენტრალურმა კომიტეტმა ბრძანება გამოსცა, რომლის საფუძველზეც საიდუმლო პროგრამა „ფოლიანტი“ დაიწყო, მიზანს IV თაობის ნერვული აგენტების შექმნა და განვითარება წარმოადგენდა.

ამ დროისთვისუკვე არსებობდა საკმაოდ ძლიერი, მესამე თაობის ნერვული აგენტები (მაგ. VX ან სარინი), მაგრამ კრემლში სურდათ, რომ მიეღოთ ნერვული აგენტების ახალი კლასი, რომელიც უფრო მომწამვლელი, მდგრადი, წარმოების კუთხით მარტივი და სხვადასხვა სამხედრო მიზანთან თავსებადი იქნებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ასობით ანალოგის დამზადება მოხდა, მაგრამ  მათ შორის „ნოვიჩოკის“ ტიპის ხუთი სხვადასხვა შენაერთი მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვნად, რომლის დიდი ნაწილიც 1972-1976 წლებში მიიღეს.

1983 წელს, ახალი ბრძანების საფუძველზე, მეორე „ფოლიანტი“ დაიწყო, რომლის მიზანსაც ბინარული სახის მეოთხე თაობის ნერვული აგენტების შექმნა წარმოადგენდა. ბინარული ქიმიური იარაღი გულისხმობს ორი სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად უსაფრთხო ნივთიერებების შერევით მიღებულ იარაღს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში დაახლოებით 20 წლის განმავლობაში იმუშავეს მეოთხე თაობის ნერვული აგენტების შექმნაზე.

**ამ დროის განმავლობაში ნოვიჩოკის ტიპის ქიმიურმა შენაერთებმა წარმატებით შეძლეს მთავარი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, ესენია:**

- შეუძლებელი ყოფილიყო ნატოს სტანდარტებით ამ ნერვული აგენტის აღმოჩენა (70-იანი და 80-იანი წლების სტანდარტით);
- უსაფრთხო ყოფილიყო ტრანსპორტირებისთვის;
- ნატოს სტანდარტით შექმნილი აღჭურვილობის დაძლევა;
- არ მოხვედრილიყო ქიმიური იარაღის კონვენციით არსებულ აკრძალვებში;

ეს და სხვა საიდუმლო დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილი არ იქნებოდა რომ არა რამდენიმე პიროვნება, რომელთაგან  ყველაზე მნიშვნელოვანი ამერიკაში მცხოვრები მეცნიერი ვილ მირზაიანოვია.

იგი თავად მონაწილეობდა საიდუმლო პროგრამაში, რომლის შესახებაც ბევრი საინტერესო დეტალი გახადა ცნობილი. მისი თქმით, პროგრამაში დაახლოებით 40 ათასამდე ადამიანი იყო ჩართული, საიდანაც ათასი უშუალოდ „ნოვიჩოკზე“ იყო კონცენტრირებული. პროგრამის დამალვის მიზნით, საბჭოთა კავშირში გადაწყვიტეს, რომ ქიმიურ იარაღზე მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების წარმოებად შეეფუთად.

კრემლის მიერ უარყოფის მიუხედავად, მეცნიერი ამტკიცებს, რომ ნერვული აგენტის წარმოება ჭარბი რაოდენობით მოხდა, რასაც ჯერ სსრკ, ხოლო შემდგომ რუსეთი გამალებით მალავდა.

„ნოვიჩოკი შექმნეს, შეისწავლეს, ექსპერემინტები ატარეს და ტონობით გამოიმუშავეს რუსეთში. ამის შესახებ არავინ იცოდა“ - განაცხადა მირზაიანოვმა 2018 წელს, სკრიპალების ოჯახზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1991 წელს სსრკ-ის მეთაურმა გორბაჩოვმა ნოვიჩოკის ოჯახის ნერვული აგენტების წარმატებით შექმნისთვის საიდუმლოდ ჩამოურიგა ლენინის ორდენები ვიქტორ პეტრუნინს (ორგანული ქიმიის სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი), გენერალ ანატოლი კუნცევიჩსა და გენერალ იგორ იევსტავიევს.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მირზაიანოვმა პირველად ამ საკითხზე 1991 წელს გაზეთ „კურანტში“, ხოლო შემდეგ 1992 წელს გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“, ქიმიკოს ლევ ფიოდოროვთან ერთად, სტატია გამოაქვეყნა.

მეოთხე თაობის ნერვული აგენტების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციის გასაჯაროების ფონზე, მირზაიანოვის წინააღმდეგ საქმე  სამშობლოს ღალატის მუხლით აღიძრა, რის შემდეგაც დააკავეს, თუმცა, საერთაშორისო საზოგადოების პოლიტიკური წნეხის ფონზე, 1994 წელს ელცინის მთავრობას მისი გათავისუფლება მოუწია.

მირზაიანოვი აღწერს, რომ წლების განამვლობაში ცდები სხვადასხვა ცხოველებზე ტარდებოდა, ხოლო მიღებული შედეგის თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ „ნოვიჩოკი“ დაახლოებით 10-ჯერ უფრო ძლიერი ქიმიური იარაღია, ვიდრე უკვე ნახსენები VX აგენტი, რომლითაც კორეის დიქტატორის, კიმ ჩენ ინის ძმა კიმ ჩენ ნამი მოკვდა.

90-იან წლებში გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ ამერიკაში გაქცეული მირზაიანოვი ფართო საზოგადოებისთვის აქტუალური სკრიპალების საქმის შემდეგ გახდა.

„ჩემს ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ იარაღს, რომელიც ჩემი მონაწილეობით შეიქმნა, ტერორისტულ იარაღად გამოიყენებდნენ“- განაცხადა მირზაიანოვმა სკრიპალებზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ.

## ჩავარდნილი ოპერაციები: სკრიპალებიდან - ნავალნიმდე

2018 წლის 4 მარტს სერგეი სკრიპალი, რუსეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი ოფიცერი, რომელიც, იმავდროულად, გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეა, შვილთან,  იულია სკრიპალთან ერთად ქალაქ სოლსბერის ერთ-ერთ საჯარო სკვერში უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

სკრიპალი ყოფილი ორმაგი აგენტია, რომელიც 2006 წელს რუსეთში სამშობლოს ღალატის მუხლით დააკავეს. მოგვიანებით, აგენტების გაცვლის ფარგლებში, დიმიტრი მედვედევმა

იგი შეიწყალა, რის შემდეგაც ბრიტანეთში გადავიდა საცხოვრებლად.

სოლსბერის საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ, გამოკვლევებმა ცხადყო, რომ  მძიმე მდგომარეობაში მყოფი მამა-შვილი ნერვულ აგენტ „ნოვიჩოკით“ იყვნენ მოწამლულები. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ორივე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

პარალელურად მიმდინარეობდა გამოძიება, რომლის ფარგლებშიც გაირკვა, რომ ქიმიური იარაღის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია სერგეი სკრიპალის სახლში იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, პირველადი ვერსია, რომ თავდასხმის უკან კრემლი იდგა, ფაქტობრივად უალტერნატივო იყო.

2018 წლის 12 სექტემბერს გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ ღიად დაადანაშაულა რუსეთის მთავრობა მკვლელობის მცდელობაში და მათი დიპლომატების გაძევება დაიწყო, თუმცა სანამ პოლიტიკურ ნაწილს გავაგრძელებდეთ, საინტერესოა ის სიმპტომები, რომლებიც  ნოვიჩოკთან  შეხების შემდეგ ვლინდება.

ეს ქიმიური ნაერთი ორგანიზმში შეხებით, შესუნთქვით ან გადაყლაპვის გზით ხვდება, რის შემდეგაც ორგანოებს შორის ნერვული გადაცემის ბლოკირებას იწვევს, რასაც მოსდევს კუნთების შეკუმშვა და სუნთქვის ან გულისცემის გაჩერება. მოწამვლის შემდეგ სიკვდილის ყველაზე ტიპური მიზეზი გულის უკმარისობაა.

**გარეგნულად ,,ნოვიჩოკის“ მიღების შემდეგ მსხვერპლს შემდეგი სიმპტომები  აღენიშნება:**

- თვალის გუგების შევიწროვება;
- ოფლიანობა და ხველება;
- სუნთქვის გაძნელება,  რამაც შესაძლოა  დახრჩობა  ან  გულის უკმარისობა გამოიწვიოს;
- კრუნჩხვები;
- უნებლიე შარდვა ან ღებინება;

გადარჩენის შემთხვევაში ნერვების, კუნთებისა და ორგანოების დაზიანება მუდმივად რჩება. ამის მაგალითს თავად ნოვიჩოკზე მომუშავე მეცნიერის, ანდრეი ჟელეზნიაკოვის შემთხვევა წარმოადგენს, როდესაც მან შემთხვევით შეისუნთქა კვამლი, რის გამოც

ორი კვირის განმავლობაში უგონოდ იმყოფებოდა, ხოლო მკრუნაღობის შემდეგ სისუტეს, ეპიღეფსიას, დეპრესიასა და ცეროზს ებრძოდა, რამაც საბოღოოდ სიკვდიღამდე მიიყვანა.

რაც შეეხება ქაღაქ სოღსბერიში მომხდარ შემთხვევას, კომატოზურ მდგომარეობაში მყოფ სკრიპაღებს, ვიღ მირზაიანოვის აზრით, ბრიტანეღი ექიმების სწრაფი და ეფექტიანი ჩარევის გარდა, შესაძღოა ამინდი - ძღიერი ნისღი დაეხმარა, რაც ამცირებს მსგავსი ტოქსინების ეფექტიანობას.

თავისთავად ცაღკე საკითხს წარმოადგენს მკურნაღობის შემდეგ არსებუღი ვითარება. ექიმები გარანტიას ვერ იძღევიან, რომ ნოვიჩოკით მოწამვღა უკვაღოდ ჩაივღის. ქიმიური აგენტის ერთ-ერთი შემქნეღიც ამ მოსაზრებას იზიარებს.

„რას ნიშნავს ანტიდოტი? ადამიანს გადაარჩენ, თუმცა მხოღოდ დროებით. მსხვერპღი იმ მომენტში არ დაიღუპება, მაგრამ დარჩენიღი ცხოვრება ინვაღიდი იქნება“ - ამბობს ღევ მირზაიანოვი.

თავის მხრივ, სახეღმწიფო და ჟურნაღისტური გამოძიებების შედეგად დადგინდა, რომ სკრიპაღებზე თავდასხმის უკან რუსეთის ხეღისუფღება იდგა. სკრიპაღების მოწამვღის საქმე სამმა ადამიანმა, რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართვეღოს (გრუ) აგენტებმა - ანატოღი ჩეპიგამ, აღექსანდრ მიშკინმა და დენის სერგეევმა განახორციეღეს.

პირდაპირი ობიექტების გარდა, ამ თავდასხმას ირიბი მსხვერპღიც ჰყავდა. პირვეღ რიგში, დეტექტივი ნიკ ბეიღი, რომეღიც ყოფიღი ორმაგი აგენტის სახღში გააგზავნეს, რა დროსაც ინტოქსიკაცია დაემართა და კრიტიკუღ მდგომარეობაში მყოფი საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფიღების პაციენტი გახდა, სადაც წარმატებით უმკურნაღეს.



სკრიპაღების საქმიდან რამდენიმე თვეც არ იყო გასუღი, რომ ცნობიღი გახდა კიდევ ორი ადამიანის „ნოვიჩოკით“ მოწამვღის შესახებ. საქმე ეხება ჩარიღ როუღის და სოღსბერიში ყოფნის დროს ნაგვის ურნაში პარფიუმერიუღ ფლაკონს მიაგნო, რომეღიც ქაღაქ ეიმსბერიში წაიღო. ნაპოვნ ბოთღში არსებუღ სითხესთან შეხებამ ის და მისი პარტნიორი დაუნ სტარჯესი მოწამღა, რის შემდეგაც ორივე მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სტარჯესმა მოწამვლას ვერ გაუძღო და გარდაიცვალა, ხოლო ჩარლი როული საავადმყოფოდან მკურნალობის შემდეგ გამოწერეს. გამოძიების დასკვნით, ეს იყო ნოვიჩოკის დოზა, რომელიც სკრიპალებზე თავდასხმის მიზნით უნდა გამოეყენებინათ, შესაბამისად, როული და სტარჯესი უნებლიე მსხვერპლები გახდნენ.

ნოვიჩოკის შემთხვევითი მსხვერპლი ნამდვილად არ ყოფილა აღექსეი ნავალნი, რუსი ოპოზიციონერი, რომელიც პუტინის ყველაზე აქტიურ და პოპულარულ კრიტიკოსად მიიჩნეოდა. 2020 წლის 20 აგვისტოს ციმბირის ქალაქ ტომსკიდან მოსკოვისკენ მიმავალ რეისზე იგი ცუდად გახდა და გონება დაკარგა, რის გამოც თვითმფრინავმა დაუგეგმავი დაშვება ქალაქ ომსკში განახორციელა, სადაც აღექსეი ნავალნი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ოჯახის სურვილის პასუხად, კრემლმა მხოლოდ ორი დღის შემდეგ განაცხადა თანხმობა რუსი ოპოზიციონერის გერმანიაში გადაყვანაზე, სადაც შარიტეს კლინიკის ექიმებმა, განსხვავებით მათი ომსკელი კოლეგებისგან, დაადგინეს, რომ აღექსი ნავალნი ნოვიჩოკით  იყო მოწამლული. მოგვიანებით ეს ფაქტი ევროპის სხვადასხვა დამოუკიდებელმა ლაბორატორიებმა და „ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

როგორ მოწამლეს ნავალნი? თავდამსხმელებს სურდათ, რომ სკრიპალების საქმისგან განსხვავებით, სადაც გამოძიებამ, ფაქტობრივად, ყველაფერს მიაგნო დამნაშავეების გადაადგილების ამსახველი ვიდეომტკიცებულების ჩათვლით, აქ სუფთად და უჩუმრად ემოქმედათ.

Bellingcat-ის[1] გამოძიებით გაირკვა, რომ ,,ეფ-ეს-ბეს“თანამშრომლები ნავალნის 2017 წლიდან მოყოლებული აქტიურად დაყვებოდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი რუსი ოპოზიციონერის გადაადგილების მარშრუტი და ტომსკში ყოფნის დროს მოწამვლა სწორად იმ დროს განახორციელეს, როდესაც ნავალნი საცურაოდ იმყოფებოდა. ამ დროს მათ სასტუმროს სათვალთვალო კამერები გათიშეს, შეიჭრნენ მის ოთახში და საცვლები ნოვიჩოკით მოწამლეს.

რეალობასთან ახლოსაა თავად აღექსეი ნავალნის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუკი მას წარმატებით მოწამლავდნენ, მაშინ სიკვდილის ოფიციალური მიზეზი გულის შეტევა გახდებოდა, ხოლო თავდასხმის ფაქტზე ცნობილი არაფერი გახდებოდა.

[1] ნიდერლანდებში დაფუძნებული საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯგუფი, რომელიც სპეციალიზდება ფაქტების გადამოწმებასა და ღია წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე (OSINT).

შესაბამისად, კითხვა, თუ რატომ გარისკა კრემლმა, სკრიპალების ჩავარდნილი მკვლელობის შემდეგ კვლავ ისეთი მომწამლავი იარაღის გამოყენება, რომლითაც ბრალდებულის სტატუსს ვერ აიცილებდნენ. სავარაუდოდ, მათ ოპერაციის წარმატებით დასრულების იმედი ჰქონდათ.

ამავე გამოძიების ფარგლებში ალექსეი ნავალნი საკუთარი მკვლელობის მცდელობაში მონაწილე ერთ-ერთ პირს, „ეფ-ეს-ბეს“ ოფიცერ კონსტანტინე კუდრიათსევს სხვა სახელი და გვარით ესაუბრა. თავდამსხმელის მოსაზრებით, სასურველი შედეგი - მკვლელობა - შესაძლოა იმიტომ ვერ განხორციელდა რომ თვითმფრინავმა დროზე ადრე განახორციელა საავარიო დაშვება, რის შემდეგაც ომსკის საავადმყოფოს ექიმებმა საკუთარი მოვალეობა შეასრულეს.

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, რაც „ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ“ დაადასტურა, გახდათ ის, რომ ნავალნის ორგანიზმში აღმოჩენილი ნერვული აგენტი სტრუქტურული მახასიათებლებით მსგავსია კონვენციით აკრძალული შენაერთების, მაგრამ ამ ჩამონათვალში პირდაპირ არ ხვდებოდა, რადგანაც ნოვიჩოკის ახალ ვარიანტს წარმოადგენდა. ამ დასკვნამ კიდევ ერთხელ გაამყარა მოსაზრება, რომ კრემლი კვლავ აგრძელებს ქიმიურ იარაღზე საიდუმლოდ მუშაობას.

თავდასხმას გადარჩენილი ალექსეი ნავალნის კომიდან გამოსვლისა და მკურნალობის პარალელურად, უკვე ცალსახა იყო, რომ კიდევ ერთი ჩაფლავებული ოპერაციის უკან რუსეთის ხელისუფლება იდგა.

2020 წლის 2 სექტემბერს გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არსებობს „ცალსახა მტკიცებულება“ ნავალნის ნოვიჩოკით მოწამვლის თაობაზე.

ამის საპასუხოდ, კრემლმა ორგანიზებული დეზინფორმაციის კამპანია აწარმოა და სხვადასხვა აქტორების გამოყენებით არაერთი ვერსია შეთხზა, მათ შორის დომინანტური იყო ნავალნის მოწამვლა თავად დასავლეთის ქვეყნების მიერ.

რასაკვირველია, რუსეთში რეალური გამოძიება არავის ჩაუტარებია, მეტიც, თავდასხმის დღეს ტანსაცმელი, რომელიც ალექსეი ნავალნის ეცვა და რომელიც მტკიცებულება შეიძლება ყოფილიყო, გადამალეს. ხოლო დანარჩენი - ბერლინის საავადმყოფოდან ნავალნის გამოწერა, მისი რუსეთში დაბრუნება, დაკავება და ციხეში სიკვდილი, ის ტრაგიკული ისტორიაა, რომელიც ყველამ იცის და პუტინის რუსეთის პირობებში არავის უკვირს.

# მოსადის ჩავარდნა

წარუმატებელი პოლიტიკური მკვლელობის პოტენციურად ტრანსფორმაციული ეფექტის მომტანი კიდევ ერთი და აღბათ, ყველაზე მკაფიო შემთხვევა ბოლო ათწლეულებში ახლო აღმოსავლეთში განვითარდა.

1997 წელს ისრაელი სერიოზული პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე იმყოფებოდა: ქვეყნის მოკლული პრემიერის, იცხაკ რაბინის მიერ პალესტინელებთან წამოწყებული სამშვიდობო პროცესი წარუმატებლობისთვის განწირულად გამოიყურებოდა, რის ფონზეც საპირისპირო, ე.წ. მემარჯვენე ბანაკის ლიდერი ბენიამინ ნეთანიაჰუ ძალას იკრებდა.

პარალელურად, სამშვიდობო პროცესის კომპრომეტირებას ცდილობდა ჰამასიც, რომელიც ამ გზით იასირ არაფატის ორგანიზაციას უპირისპირდებოდა. 1996 წელს ისრაელის ქალაქებში ჰამასის მიერ განხორციელებულმა ტერაქტებმა პირველი სასიკვდილო დარტყმა მიაყენა სამშვიდობო პროცესს, რაც მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა.

ტერაქტების ფონზე, ისრაელში იზრდებოდა უკმაყოფილება და საბოლოოდ, ყველაფერი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე მემარჯვენე ბანაკის გამარჯვებით დასრულდა. ბენიამ ნეთანიაჰუ პირველად გახდა ისრაელის პრემიერი.

საერთაშორისო პარტნიორებისგან მომავალი წნეხის გამო, ნეთანიაჰუ ინერციით აგრძელებდა პალესტინელებთან მოლაპარაკებებს, თუმცა უკვე ამზადებდა საპასუხო დარტყმებსაც. 1997 წლის ივლისში იერუსალიმის მაჰანე იეჰუდას ბაზარზე „ჰამასის“ თვითმკვლელი ტერორისტის მიერ ბომბის აფეთქებას 16 ისრაელელი ემსხვერპლა, რაც ისრაელის მთავრობისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

ნეთანიაჰუს დავალებით, საპასუხოდ, „მოსადს“ უნდა შეედგინა „ჰამასის“ ლიდერების საღიკვიდაციო სია, რის შემდეგაც საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ პრემიერს უნდა მიეღო. ნეთანიაჰუს საპასუხო დარტყმის მისაყენებლად რამდენიმე საღიკვიდაციო კანდიდატი წარუდგინეს, მათ შორის „ჰამასის“ ახალგაზრდა ლიდერი ხალედ მეშალი და მუსა აბუ მარზუკი. ამ უკანასკნელს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა ჰქონდა, რის გამოც საბოლოო არჩევანი სწორედ მეშალზე შეჩერდა. დასავლეთ ნაპირზე დაბადებული მეშალი იმ დროისთვის უკვე იორდანიის სამეფოში ცხოვრობდა.

მეშალის ლიკვიდაცია რამდენიმე თვის განმავლობაში იგეგმებოდა. ისრაელისთვის სე-

რიოზუდ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ოპერაცია იორდანიის ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო. სამეფომ მხოლოდ 3 წლით ადრე მოაწერა ხელი ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზაციისა და დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების შეთანხმებას. „ჰამასის“ ლიდერის ასეთ ღია მკვლელობას იორდანიის ტერიტორიაზე, თანაც იმ პირობებში, როდესაც ეს უკანასკნელი, მეფე ჰუსეინის გადაწყვეტილებით, პოლიტიკური თავშესაფრით სარგებლობდა, უკიდურესად სარისკო იყო.

სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე შეირჩა მკვლელობის უჩვეულო იარაღიც - ტოქსინი. გეგმის მიხედვით, აგენტები უნდა მიახლოებოდნენ მეშაღს, რომლის მოძრაობის ტრაექტორიაც უკვე დეტალურად ჰქონდათ შესწავლილი. მათ მისი ყურის არეში უნდა გაეფრქვიათ ხელზე მიმაგრებული მომწავლელი ნივთიერება და სწრაფად დაეტოვებინათ შემთხვევის ადგილი. ოპერაცია დეტალურად დაიგეგმა, შეთანხმდა თარიღიც.

23 სექტემბერს მოსადის 6 აგენტი, კანადელი ტურისტების სახელით, ამანში ჩაფრინდა. მეშაღის ლიკვიდაცია 2 აგენტს უნდა განეხორციელებინა, ხოლო დანარჩენი 4 მათი მხარდაჭერის ჯგუფს წარმოადგენდნენ. დღემდე დადასტურებით უცნობია, თუ რა ნივთიერებაზეა საუბარი, თუმცა სხვადასხვა წყაროს ცნობით, საუბარია სინთეტიკური ნარკოტიკული ნივთიერების, ფენტანილის ბაზაზე დამზადებულ ტოქსინზე, რომელიც მოქმედებას კანზე კონტაქტიდანაც შეძლებდა. მეშაღი ნივთიერების გაფრქვევიდან 48 საათის განმავლობაში უნდა გარდაცვლილიყო.

თითქოს ყველაფერი გეგმით მიდიოდა. აგენტები მეშაღს ერთ-ერთ რეზიდენციასთან ჩაუსაფრდნენ. ბოლო მომენტში, მათთვის მოულოდნელად, მეშაღი მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად გამოჩნდა. მცირე პაუზის შემდეგ, ისრაელელმა აგენტებმა მოქმედება გადაწყვიტეს: ორი მათგანი სწრაფად გადავიდა მანქანიდან და უკნიდან, სწრაფად უახლოვდებოდნენ მეშაღს. ერთ-ერთი ვერსიით, მეშაღმა აგენტების მოახლოების ხმა გაიგო. მეორე ვერსიით, მან შვილს გახედა და სვლის ტრაექტორია ოდნავ შეცვალა, რამაც ისრაელელი თავდამსხმელების გეგმები შეცვალა.

„მოსადის“ აგენტმა მაინც შეძლო მეშაღთან მიახლოება და საწამლავი სახის არეში შეაფრქვია, რაც მოგვიანებით მეშაღმა ელექტროშოკის ხმას შეადარა, თუმცა აღნიშნა, რომ ტკივილი არ უგრძვნია. მას შემდეგ, რაც იგი მიხვდება, რომ თავს დაესხნენ, ბავშვს ვითარებას აარიდებს, ხოლო მისი დაცვის ერთ-ერთი წევრი, ორ ისრაელელ აგენტს ფიზიკურად დაუპირისპირდება.

საბოლოო ჯამში, ქუჩაში მომხდარი ჩხუბის ფონზე, „მოსადის“ ორ აგენტს პოლიცია დააკავებს, ხოლო გაქცეული 4 წევრი თავს ისრაელის საელჩოს შეაფარებს.

ამ დროისთვის მეშაღი თავს ნორნაღურად გრძნობს, თუმცა მაღევე მას ძიღიანობა ერევა და ვეღარ გადაადგიღღება. მისი გარემოცვის წევრები ეჭვობენ, რომ მეშაღი მოწამღუღია და რამდენიმე საათში ის წითელი ჯვრის კლინიკაში გადაჰყავთ. მეშაღის მდგომარეობა სწრაფად უარესდება, ექიმები ვერ ხვდებიან, თუ რასთან აქვთ საქმე. „ჰამასის“ გადაწყვეტილებით, მომხდარი მაღევე ეცნობა საერთაშორისო მედიებს, რის შემდეგაც რეგიონი ახალი პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე ხელახღა დადგა.

იორდანელი მეფის მთავრობა თავდაპირველად უგულებელყოფს მეშაღის მკვღელობის მცდელობის შესახებ გავრცელებულ ცნობებს, თუმცა მაღევე იძულებული ხდება, რომ შესაბამისად იმოქმედოს. თავის მხრივ, ისრაელში უკვე იციან, რომ მათი ორი აგენტი დაჭერილია.

ამ ფონზე იორდანიაში ვერტმფრენით მიემგაზვრება მოსადის დირექტორი დენი აიტომი, რომელიც მეფე ჰუსეინისგან ისრაელელი აგენტების გადმოცემას ითხოვს, რის სანაცვლოდაც იორდანელებმა ხაღედ მეშაღისთვის ანტიდოტის გადაცემა მოითხოვეს, წინაალმდეგ შემთხვევაში დაკავებულების ჩამოხრჩობით დაიმუქრნენ. პარაღელურად, მეფე ჰუსეინმა ისრაელის საელჩოს შენობის სრულ აღყაში მოქცევა გადაწყვიტა და მეშაღის სიკვდილის შემთხვევაში სამშვიდობო შეთანხმების გაუქმება დაანონსა.

თავდაპირველი უარის მიუხედავად, პრემიერი ნეთანიაჰუ საბოლოოდ დათანხმდა იორდანელების მოთხოვნას და ანტოდოტი „მოსადის“ დირექტორს გაატანა, რის შემდეგაც მეშაღი გონს სწრაფად მოეგო, თუმცა კრიზისი ამით არ ამოწურულა.

ისრაელთან საბოლოო შეთანხმებისა და აგენტების გათავისუფლების სანაცვლოდ, მეფე ჰუსეინი 70 პალესტინელი პატიმრის გათავისუფლებას ითხოვს, მათ შორის „ჰამასის“ დამფუძნებლისა და უცვლელი სულიერი ლიდერის, შეიხ აჰმედ იასინისისაც, რომელსაც უვადო სასჯელი ისრაელის ერთ-ერთ მკაცრ ციხეში ჰქონდა მისჯილი. საბოლოო ჯამში, ისრაელმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა.

ციხიდან გათავისუფლებული შეიხი აჰმედ იასინი თავდაპირველად იორდანიაში სამედიცინო შემოწმებაზე ჩადის, სადაც მას სასწაულებრივად გადარჩენილი ხაღედ მეშაღი ეგებება. მეშაღსა და იასინს ერთ კლინიკაში მკურნალობენ, სადაც მაღევე ეწყობა სახელდა-

ხელო პრესკონფერენცია - ეს „ჰამასის“ დიდი სიმბოლური და პოლიტიკური გამარჯვება გამოდგა.

თავის მხრივ, ამ ფაქტის შემდეგ, მეშაღის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა. ის სწრაფად ირგებს მთავარი ანტისიონისტის მანტიას, ხოლო აჰმედ იასინი მშობიურ ღაზაში ბრუნდება. ღაზაში იასინის ვერტმფრენის დახვედრის სცენები ბევრს გაახსენებდა 1979 წლის თეირანის კადრებს, როდესაც ასიათასობით ირანელი თეირანის აეროპორტში 14-წლიანი ემიგრაციიდან დაბრუნებულ აიათოლა ხომეინის ეგებება.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ისრაელელი აგენტების წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ „ჰამასი“ არნახულად გაძლიერდა, მათი პოპულარობა განსაკუთრებით საგრძნობი ღაზის სექტორში გახდა. პარადოქსულად, სუსტდებიან მათი მთავარი მოწინააღმდეგეები ,,ფათაჰიდან“, რომლებმაც, 1993 წლის შეთანხმების ფარგლებში, უარი თქვეს ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე და აღიარეს ისრაელის არსებობა.

ამ კატასტროფული ჩავარდნის ფონზე ნეთანიაჰუს არცთუ ისე მაღალი მხარდაჭერის რეიტინგი მკვეთრად ეცემა და დიდი სხვაობით აგებს მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს, რის გამოც იგი ცოტა ხნით პოლიტიკიდანაც მიდის.

სავარაუდოა, რომ ღაზის სექტორში „ჰამასი“ ხალედ მეშაღის მკვლელობის წარუმატებელი მცდელობის გარეშეც გაძლიერდებოდა, თუმცა შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ „მოსადის“ ასეთმა ჩავარდნამ ხელი შეუწყო პროცესს და მისი აქსელერაცია გამოიწვია.

# განკითხვის დღის სექტა



ამ დრომდე მსოფლიოს ისტორიაში უმსხვილეს არასახელმწიფო ერთეულად, რომელსაც ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ყველაზე მასშტაბურ არსენალზე მიუწვდებოდა ხელი, იაპონიაში დაარსებული სექტა „აუმ სინრიკე“ მიიჩნევა.

სახელწოდება, რომელიც იაპონურიდან “უზენაეს ჭეშმარიტებად” ითარგმნება, სექტის ლიდერმა და დამფუძნებელმა, სიოკო ასაჰარუმ  მოიფიქრა (ნამდვილი სახელია ტიდზუო მაცუმოტო).

როგორც წესი, ამ სექტაზე საუბრისას უფრო დიდი  ყურადღება გარეგნულ და სტრუქტურულ უცნაურობებს ეთმობა, ვიდრე სექტის მიერ ორგანიზებულ ქიმიური იარაღის პროგრამას, რომელიც ბიოლოგიური იარაღის წარმოებისგან განსხვავავებით, გარკვეულწილად წარმატებული იყო და მსხვერპლიც მოჰყვა.

მათი გამოცდილება არაერთი მიმომხილველისთვის წარმოადგენს მაგალითს, თუ რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს ბიოტერორიზმის საფრთხე არასახელმწიფო აქტორის მხრიდან.

„აუმ სინრიკე“ 1980-იან წლებში ტოკიოში დაარსდა, როგორც იოგის გაკვეთილების კლასი. სექტის ლიდერი ღარიბი ხელოსნის ოჯახში დაბადებული, ნახევრად უსინათლო ტიდზუო მაცუმოტო იყო. მაცუმოტო ექიმობაზე ოცნებობდა, თუმცა სახელმწიფო გამოცდები ვერ ჩააბარა. ამის შემდეგ მაცუმოტომ დაიწყო ჩინური მედიცინის პრაქტიკოსობა და ჰომეოპათიური მედიკამენტებით ვაჭრობა. ულიცენზიო სამედიცინო საქმიანობისა და ყალბი მედიკამენტების გაყიდვისთვის მაცუმოტო ცოტა ხნით საპატიმროშიც მოხვდა. ის გარშემო იკრებდა ცხოვრებისგან იმედგაცრუებულ ხალხს, ადამიანებს, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ მიზნის დასახვის სურვილი.

უკვე 1985 წელს მაცუმოტომ სამყაროს გარდაუვალი აღსასრული „იწინასწარმეტყველა“, ხოლო თავი „ქრისტეს განსხეულებად და ბუდას შემდეგ გასხივოსნებულ პირველ ადამიანად“ გამოაცხადა. ამავე პერიოდში ტიდზუო მაცუმოტო სიოკო ასაჰარად გადაიქცა. იცვლებოდა მისი ქადაგებაც -  თავდაპირველად ასაჰარუ წინასწარმეტყველებდა, რომ მომავალ აპოკალიფსს მხოლოდ მისი სექტის წევრები გადაურჩებოდნენ. საბოლოოდ ეს ფილოსოფია გადაიზარდა მიდგომაში, რომლის მიხედვითაც, სექტის წევრებს ბიოლოგიური

და ქიმიური იარაღების გამოყენებით აპოკალიფსი უნდა დაეჩქარებინათ.

80-იანი წლების მიწურულისთვის სექტას მხოლოდ იაპონიაში 10 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავდა, ხოლო ოფისები ქვეყნის გარეთაც მრავლად ჰქონდათ. სექტა ძალადობრივ პრაქტიკებზე ეტაპობრივად გადავიდა. 1988 წელს სულიერი მეცადინეობის დროს სექტის ერთ-ერთი წევრი დაიხრჩო. პოლიციის თავიდან არიდების მიზნით, ასაჰარუმ მიმდევრების ცხედრის დაწვა და ნარჩენების საიდუმლო ადგილას დამარხვა ბრძანა.

ამ პროცესის დროს ასაჰარუმ მიმდევრებს დამხრჩვალის ერთ-ერთი მეგობარი მოაკვლევინა, რომელიც იმედგაცრუებული იყო და სექტის დატოვებას ცდილობდა. დანაშაულებრივი ბრძანებების საფუძველზე, სექტის მოკლული წევრებისა თუ მათი ოჯახის წარმომადგენლების რიცხვი თანდათან მატულობდა.

სხვადასხვა დროს სექტის 12 წევრს აქვს შესრულებული ასაჰარუს დანაშაულებრივი ბრძანებები როგორც მკვლელობის, ასევე ბიოლოგიური იარაღის დამზადების შესახებ (Nonproliferation Review, 2016).

თავად ჯგუფის მიდგომები დიდწილად სამეცნიერო ფანტასტიკაზე იყო დაფუძნებული: სექტაში შეპყრობილები იყვნენ სხვადასხვა ფუტურისტული იარაღით, ე.წ. პლაზმური იარაღით, რომლის გამოყენებითაც ადამიანის სხეულის ატომებად დაშლა იქნებოდა შესაძლებელი.

მათი სურვილები იმდენად გაღრმავდა, რომ ავსტრალიაში დიდი მიწის ნაკვეთი შეიძინეს, სადაც ურანის აღმოჩენა და ბირთვული იარაღის წარმოება ჰქონდათ მიზნად. მეტიც, სექტამ წარმატებით შეძლო საბჭოთა კავშირისგან სხვადასხვა ტიპის იარაღის შეძენა, მათ შორისაა „კალაშნიკოვის“ ავტომატები და MI17-ის ტიპის ვერტმფრენი.

ალტერნატივის სახით, ისინი აქტიურად მუშაობდნენ ქიმიური იარაღის შექმნაზე. სექტის წევრებმა მოახერხეს ფოსგენის, წყალბადის, ციანიდის და სომანის მცირე რაოდენობით წარმოება. გარდა ამისა, მათ ხელი მიუწვდებოდათ GF-ის და VX-ის კლასის ნერვულ აგენტებზე, რომლის გამოყენებითაც რამდენჯერმე განახორციელეს თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეებზე, რაც ყველა ჯერზე წარუმატებელი აღმოჩნდა.

ყველაზე დიდი წარმატებით მათ ე.წ ზარინის გაზის წარმოება შეძლეს, რომელიც მათ ხელში არსებული ყველაზე საშიში იარაღი გახდა.

სექტის მიერ მოპოვებული ზარინისა და VX-ის ტიპის მომწამვლელი გაზები პირველად გამოიყენეს 1994 წლის 27 ივნისს, ქალაქ მაცუმოტოში. ეს იყო მსოფლიოს ისტორიაში პირველი ტერორისტული აქტი ქიმიური იარაღის გამოყენებით. სექტის წევრების მიერ ზარინის ჰაერში გაფრქვევას 7 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო დაახლოებით 200-მა სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

1995 წლის იანვარში სოფელ კამიკუ-ისიკის მაცხოვრებლებმა პოლიციელებს სექტის კუთვნილი ობიექტიდან მომავალ უცნაურ სუნზე შესჩივლეს. გამოკვლევის შემდეგ ჰაერში ზარინის კვალი აღმოაჩინეს.

ძალადობრივი ქმედებები ამით არ დასრულებულა. ამავე წელს სექტის წევრებმა 69 წლის ნოტარიუსი გაიტაცეს, რომელიც მათი თანამოაზრის ძმა იყო. მათ კოლეგას სექტის დატოვება სურდა, რის გამოც მისი ძმა სექტის წევრებმა მოკლეს, ხოლო ცხედარი ნაგვის გადამმუშავებელი საწარმოს მიკროტალღურ ღუმელში დაწვეს, ნარჩენები კი გადამალეს.

1995 წლის მარტის მდგომარეობით სიტუაცია უკვე საგანგაშო ხდებოდა. პოლიციამ ქალაქ ოსაკაში სექტის 3 წევრი დააკავა. მათ სტუდენტების გატაცება ბრალდებოდათ. პარალელურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათი კუთვნილი შენობების ჩხრეკა და ლიდერების დაპატიმრება გადაწყდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სამართალდამცველების ქმედებები დაგვიანებული აღმოჩნდა.

ამავე წლის 20 მარტს სექტის წევრებმა ტოკიოს მეტროში ზარინის მომწამვლელი გაზი გააფრქვიეს, რასაც 12 ადამიანი ემსხვერპლა, ასამდე ადამიანმა მიიღო სერიოზული დაზიანება და კიდევ დაახლოებით 1000-ზე მეტს აღენიშნებოდა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები.

სექტის შენობების რეიდისას პოლიციელებმა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კომპონენტები, სხვადასხვა პათოგენი, ციმბირული წყლულისა და ებოლას ბაქტერიები აღმოაჩინეს.

სწორად აქედან დაიწყო სეკო ასაჰარას სექტის დაღმასვლა. მომდევნო თვეებში 300-მდე საპოლიციო რეიდის ფარგლებში დააკავებენ სექტის 500-ზე მეტ წევრს, მათ შორის ლიდერებსაც. სექტის ლიდერები რამდენიმე წლის განმავლობაში ელოდებოდნენ სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას. ამ დროისთვის სასიკვდილო განაჩენი აღსრულებულია სექტის 13 წევრის შემთხვევაში, მათ შორის არის სეკო ასარაჰაც.

# ბიბლიოგრაფია


Perliger, A. (2015). The causes and impact of political assassinations. CTC Sentinel, 8(1).

Бирштейн, В. Я. (1997). Эксперименты на людях в стенах НКВД. Человек, 5, 114-132.

Vaksberg, A. (2007). Le laboratoire des poisons. Éditions Perrin.

Plokhy, S. (2016). The man with the poison gun: A Cold War spy story. Basic saccsaBooks.

Volodarsky, B. (2010). The KGB's poison factory: From Lenin to Litvinenko. Pegasus Books.

Zygar, M. (2023). War and punishment: Putin, Zelensky, and the path to Russia's invasion of Ukraine. Crown.

Danzig, R., Sageman, M., Leighton, T., Hough, L., Yuki, H., Kotani, R., & Hosford, Z. M. (2011, July). Aum Shinrikyo: Insights into how terrorists develop biological and chemical weapons. https://s3.us-east-1.amazonaws.com/files.cnas.org/hero/documents/CNAS_AumShinrikyo_Danzig_1.pdf

Leitenberg, M., Zilinskas, R. A., & Kuhn, J. H. (2012). The Soviet biological weapons program: A history. Harvard University Press.

Mirzayanov, V. S. (2008). State secrets: An insider's chronicle of the Russian chemical weapons program. Outskirts Press.

ERR News. (2020, September 7). Novichok creator: The aim was not to kill Navalny, but make him an invalid. ERR. https://news.err.ee/1132520/novichok-creator-the-aim-was-not-to-kill-navalny-but-make-him-an-invalid

Radio Free Europe/Radio Liberty. (2020, November 18). Everything you need to know about Novichok. https://www.rferl.org/a/everything-you-need-to-know-about-novichok/30964840.html

Fedorov, L. A. (1994). Chemical weapons in Russia: History, ecology, politics [Khimicheskoye oruzhiye v Rossii: Istoriya, ekologiya, politika]. Moscow: Center of Ecological Policy of Russia. https://nuke.fas.org/guide/russia/cbw/jptac008_l94001.htm